საქართველო

წელიწადი მეხუთე — პარასკევი, 8 მარიამობისთვე 1919 წ. № 168 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეჯერ 60 მ. მისამართ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86—13

შაბათს, აგვისტოს 9-ს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

ივანე პეტრეს ძის ზაზანაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი: ძმა გარსევანი, დები ანნა და სოფიო, რძალი ბარბარე და ძმისწული ლოლა ზაზანაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ საფლავზე.

1—2572—1

გულდათუთქულნი დეიდა ილუმენია, ქრისტინე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ შაბათს 9 აგვისტოს დილის ათ საათზედ მღვიმის დედათა მონასტერში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი დის შვილის გამომძიებლის

შალვა სოლომონის ძის პურცხალიას

სულის მოსახსენებლად. 1—ფ—1

ახალციხის ფრონტზე თათრებთან ბრძოლაში დაღუპულ მე 6-ე ქვეითი რაზმის კაპიტანის

ვლადიმერ ილიას ძე

ტატიშვილის

პირისუფალნი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, ამა წლის აგვისტოს 9-ს, ქ. თელავში, განსვენებულის საფლავზე.

1—2573—1

გამოვიდა და იყიდება

ალ. ასათიანის წიგნი

მიწის საკითხი საქართველოში.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა.
10—5—8

საქართველოს რესპუბლიკის

სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:

პირველ სექტემბრიდან თბილისში იხსნება სამხედრო სასწავლებელი განყოფილებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსან ჯარისა და საინჟინერო. სასწავლებელში მიღებულ იქმნებიან ახალგაზრდანი წლოვანებით 17—25 წლ.

მსურველთ თხოვნა სამხედრო სასწავლებლის უფროსის სახელობაზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები: 1) მოწმობა ჯარისკაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ, 2) ატტესტატი საშუალო სასწავლებლის სწავლის გათავებისა, 3) მოწმობა იმის შესახებ, რომ არ ყოფილა მიცემული სამართალში, 4) მეტრიკული მოწმობა და 5) ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება—ქართული ენის ცოდნა აუცილებელია.

(2—2574—1)

ბორჯომში კვირას, 10 მარიამობისთვე, საქართველოს წითელ ჯვართან არსებულ ქალთა კომიტეტი მართავს

დიდ სეირნობას

საქართველოს წითელ ჯვრის ლტოლვილ ბავშვთა თავშესაფარის და ბორჯომის მინერალურ წყლების ბალნეოლოგიური განყოფილების სასარგებლოდ.

ნაშუადღევის 2 საათიდან ბაღში დაუკრავს მუსიკა, იქნება ცეკვა, ბავშვების თამაშობა, კიოსკები, ლატარია-ალეგრი.

საღამოს 8 საათზე ქართულ სიმღერათა საღამო კომპ. დ. არაყიშვილის ხელმძღვანელობით, მოხსენება, რომანსები, სიმღერები, ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე" ნაწყვეტები.

ღამის 10 საათზე კაბარე, მუსიკალური გრიმასები, მონაწილეობენ: ბ-ნი ნ. ნ. ევრეინოვი, ინაშვილი, ვარტმანი; ელეცკი, ქ-ნნი კორანა, ქ-ნი ტრუშჩოვა სანდრო კორინა და სხვები.

ამერიკული აუქციონი—ინგლისური უნგირი.

ამ დღისთვის შაბათ საღამოს თბილისიდან გავა ბორჯომში საგანგებოდ მოწყობილი მატარებელი, რომელიც შემდეგ უკანვე დაბრუნდება.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ტელეფ. 7 57.

2—2571—1 პასუხისმგებელი დიასახლისი ქ-ნ ა. პ. ზანდუკელისა.

საყოველთაო საყურადღებოდ.

დამფუძნებელმა კრებამ მიმდინარე წლის 18 მკათათვეს მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე ერთბაშათ დაუჭირონ ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადი. ამიტომ ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულებანი მოვალენი არიან მიმდინარე აგვისტოს ხვედრი ჯამაგირიდან თავიანთ მოსამსახურეთ დაუჭირონ ქალაქის სასარგებლოთ გადასახადი და წარმოადგინონ ქალაქის კასაში.

საჭირო ბლანკების მიღება შეიძლება:

1. ქალაქის გამგეობაში (გადასახადთა ბიუროში).
2. ყველა კომისარიატებში.
3. ხარჯთ ამკრეფ ბიუროს აგენტების კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან:

1 უბნისა. ფერის დამართზე, მოედანზე, (სადაც ბორცის დუქნები იყო).
2 3 უბნის. ბაზრისა და გრაფის ქუჩების კუთხეში № 2
4—5 უბნის. თათრის მოედანზედ (სასწორის თავზე).
6—7 უბნის. კახეთის მოედანზე, ნუნუფაროვის ბაზარში
8—9 უბნის. ელისაბედის ქ. № 10,
10—12 უბნის. ჩერქეზიშვილის ქ. № 87.
11 უბნის ხუდადოვის ქ. 75, ჩარკვიანის სახლი. 3—154—1

კიდევ საზღვრების შესახებ

დამოუკიდებლობის შემდგომ საზღვრების საკითხი ყველაზედ უფრო არსებითია ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის. ქართული საზოგადოებრივი აზრიც თანდათან უახლოვდება ამის შეგნებას. ქართული პრესის უკანასკნელი ერთი თვის კამათი ამ საგანზედ მოწმობს, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური მიმართულება თითქმის თანაბარის სისწორით აფასებს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს და ერთნაირი საერთო პრინციპის მიხედვით იცავს ამ საზღვრებს. ყველას მიერ გაზიარებულია თითქმის ერთნაირი დასაბუთება. უარყოფილია რეალური მოსახლეობის პრინციპი, რომელსაც აქამდის ჩვენი სოციალისტური პარტიები გარდამწყვეტ უფლებას ანიჭებდენ საზღვრების გალაჭრაში. „ერთობა" და „სახალხო საქმე" კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპით ვერ იხელმძღვანელებენ უკვე დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიის შემოსაზღვრავად. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ეს იქნებოდა დიდი უსამართლობაც, და სახელმწიფოს სასიკვდილოდ დაზიანებაც. ამ დებულებაში დღეს ყველანი შეთანხმებული ვართ; ხუთი წლის კამათი სასურველად დამთავრდა. მეორეს მხრით უარყოფილია მხოლოდ ისტორიული უფლება. ყაზახ-შამშადილი და ზოგი სხვა, რომელზედაც საქართველოს სრული ისტორიული უფლება აქვს, საქართველოს მხრივ ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე რჩება. ჩვენ, ნაციონ.-დემოკრატები, სრულიად ლოიალურათ ვსთმობთ ამ კუთხეს. სოციალისტური პარტიები მით უმეტეს. ამგვარად, საქართველოს საზღვრების გასავლებ საერთო მასშტაბად რჩება შუახაზი ისტორიულის, სტრატეგიულის და ეკონომიურ-გეოგრაფიულ მთლიანობისა. აქ ახალია მხოლოდ გამოთქმის ფორმა, თორემ თვით ჩვენს ცხოვრებასა და გარდასულ თაობათა სიცოცხლეს საქართველოს ტერიტორიული სხეული ამ პრინციპების მკიდრო შეკუმშვის ხაზზე აქვს ჩამოყალიბებული. საქართველოს კლასიკური კედლები ამ პრინციპების განამდვილებაა. ყოველი ლოიალური აზროვნების კაცი ამაში დარწმუნდება. ამ პრინციპების აღიარებით და რეალური მოსახლეობის პრინციპის უარყოფით, მოდავე მხარეს ჩვენს თვალში ეკარგება ყოველი საბუთი საქართველოს იმ ნაწილებზე, რომელთა შესახებ დიდი ხანია დავა და კამათია ატეხილი. ამგვარად, ჩვენის შეგნებით და ლოღიკით, ჩვენი სახელმწიფოებრივი შემეცნებით „სადაო" ნაწილები საქართველოს უდავო ტერიტორიაა. მოდავე მხარის პრეტენზია კი, როგორც ტაცობა და წართმევა ისე მოსჩანს ჩვენს უფლებრივს და სახელმწიფოებრივ შეგნებაში. სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის და აგრეთვე უფლებრივის პრინციპით „სადაო" მაზრები თუ მაზრების ნაწილები ჩვენია. ყველა აქედან აშკარაა, რომ ჩვენი მოქმედება ამ ჩვენი უფლების, ამ ჩვენი საკუთრების დაცვა-შენარჩუნებას უნდა ემსახურებოდეს. საქმე შეგნებას უნდა განამტკიცებდეს. ტერიტორიის და საზღვრების შესახებ ჩვენ გვაქვს ერთი ეროვნული შეგნება—ეროვნული მატერიული ძალა ლონისძიებაც ამ შეგნებას უნდა განამტკიცებდეს. ჩვენი შეგნება უპირდაპირდება მოწინააღმდეგის შეგნებას; ჩვენი მატერიული ძლიერებაც მოწინააღმდეგისას უნდა დაუპირდაპირდეს. ჩვენ ჩვენისა დამცველი ვართ—ასეთია მთელი ჩვენი შეგნების შინაარსი. მოწინააღმდეგე ჩვენის წამრთმევი და მტაცებელია. ჩვენ კი არ უნდა დავსთმოთ რაც ჩვენია, არამედ მოწინააღმდეგემ ხელი უნდა აიღოს, ან უნდა ავალებინოთ ჩვენის მითვისება-წართმევაზედ. ჩვენი სახელმწიფოებრივი უფლება და საკუთრება მოწინააღმდეგემ უკუ აგდო და საქმე ძალზედ მიაგდო. სხვისის მითვისებისა და წართმევის ჟინს ვერ დაუთმობს საკუთარის დაცვის უფლებრივი შეგნება; ნებაყოფილობით და წინასწარ პსიხოლოგიური დათმობა ეს იქნებოდა თავდაცვის იდეოლოგიისათვის ყოველი იარაღის აყრა და ყოველი არგუმენტის წართმევა. თვით შეკუმშვას და დათმობას ამ პირობებში საზღვარი არ დაედებოდა. ჩვენ ან ჩვენი შეგნება უნდა გამოვიცვალოთ სახელმწიფოებრივ ტერიტორიის შემოსაზღვრაზე და უკუ ვყაროთ დღეს სახელმძღვანელო და სამოქმედო დასახული პრინციპები, ან დათმობაზე ლაპარაკი უნდა მოისპოთ. ამ ჩვენი ტერიტორიის წაღება ძალადობა იქნებოდა და მხოლოდ ძალადობის აქტით მოხდება. მხოლოდ ასეთი შეფასება იქნება მართალი იმ შეგნების მიხედვით, რომელიც ეროვნულ-კოლექტიურად დღეს გამოვიმუშავეთ ტერიტორიის საკითხში. და ეს დაფასება უნდა თაობებზე გადავიდეს. საკითხის სხვანაირად დაყენება და გადაჭრა უაზრობის ყველა ხიფათს თავზე დაგვატეხს. ჩვენი სოციალისტები კი საკითხის მეორე ნახევარში სწორედ ასე იქცევიან. ეს დიდი შეცდომაა და მარცხს გვიმზადებს. ლოიალურად უნდა შევიცადოთ შეცდომის დანახვას. საცა „ანი" სთქვეს, იქ „ბანიც" უნდა სთქვან ჩვენში სოციალისტებმა.

სომეხ-თათართა შეტაკება

ამიერ-კავკასია ხელახლა მოიცვა ომის ცეცხლმა. საკმაო იყო გამორკვეულიყო, რომ ინგლისი ამიერ-კავკასიას სტოვებდა და არც იტალიის ჯარები მოდიოდენ, რომ გადაკიდებოდენ თათრები და სომხები ერთიმეორეს სასტიკად გადაჰკიდებოდენ.

შეტაკებებმა რომლნიც უწინაც ხშირათ ხდებოდენ, ეხლა ნამდვილი ომის ხასიათი მიიღეს.

სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში მომწყვდეული თათრის ელემენტი აჯანყდა და მოასწრო კიდეც ნახიჩევანის დაკავება. ამბოხება თან და თან იზრდება, თათრების ბრბოებს სათავეში უდგანან ოსმალოს ოფიცრები და დაუზოგავათ ანადგურებენ სომხების რაზმებს. უფრო უარესათ არის სომხების საქმე ოსმალეთში, იქაც დაიწყო ოსმალთა მოძრაობა სომხების წინააღმდეგ და ნამდვილი ომია გამართული.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველაფერი ის, რაც დღეს ხდება, მოულოდნელი იყოს; სომხებისა და თათრების ომი აუცილებლათ ადრე თუ გვიან უნდა დაწყებულიყო, ამას გრძნობდა და ეს იცოდა ყველა, ვინც თვალყურს ადევნებდა სომხების პოლიტიკას ამ ბოლო დროს.

როცა გამოირკვა, რომ ანტანტა გაჯავრებულია, სომხების პოლიტიკოსებში გაიღვიძა ოსმალეთისადმი შერისძიების გრძნობამ.

სომხებმა ყველაფერი მოიხმარეს იმისთვის, რომ ოსმალეთის დაშლარაც შეიძლება მეტი სარგებლობით გამოეყენებინათ. და მაშინ, როცა სომხები ჩვენ გვედავებოდნენ უდავო და ჩვენთვის დაუთმობელ საზღვრებს—გაერთიანებულ სომხეთის საზღვრებში შეიტანეს ოსმალეთში ასეთი პროვინციები, სადაც სომხები არ აღემატებიან მცხოვრებთა 10 პროცენტს

სომხებს იმედი ჰქონდათ ინგლისის და ისე შორს წავიდნენ, რომ უკან ყველა ხიდები დასწვეს და ხაშინლად გაალიზიანეს ისედაც მოსისხლე მაჰმადიანები.

თუ სომხობა რამდენად იყო მაშინ დათვრალი იქიდან ნჩანს რომ იმ დროს სომხები საქართველოს დაპყრობასაც შეეცადნენ და მხოლოდ ქართველი ხალხის ერთსულოვანმა დახვედრამ საბადლოსთან, სადაც სასტიკათ დამარცხდენ სომხები, აღებინა ხელი დაშნაკელებს ამ გიჟურ ავანტიურაზე.

მართალია, ჯერ კიდევ ინგლისი არ წასულა კავკასიიდან და ამის გარდა სომხები მოელიან ამერიკის მანდატს, მაგრამ თათრებმა მეტი მოთმენა არ ისურვეს და დაასწრეს ომის დაწყება.

ჩვენ არ ვეხებით ამ საკითხს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი ამ ომში, ეს ჩვენ არ გვეხება, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ადვილად შეიძლება ომს პროვოკაციის ხასიათი მიეცეს და მთელი ამიერ-კავკასიის მომავალზე დიდი მნიშვნელობა იქონიოს.

მაშინ, როცა პარიზის კონფერენციას ჯერ კიდევ არ უცვნია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და ყოველ შემთხვევას მნიშვნელობა აქვს ამ საკითხის გადაწყვეტის დროს—ამიერ-კავკასიაში დაინთო ომის ცეცხლი.

უეჭველია ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები ამ ფაქტს გამოიყენებენ, კავკასიას მეორე მაკედონიათ გამოაცხადებენ და სამუდამოთ შეიძლება დავკარგოთ ის, რის განხორციელებასთანაც ჩვენ ასე ახლო ვდგევართ ამ ჟამათ.

რაც უნდა ობიექტიურად შევხედოთ ამ საკითხს, მაინც შეუძლებელია, რომ მსჯავრი არ დაედოს სომხების ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებს.

დაშნაკელები დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან შეგნებულათ თუ შეუგნებლათ საშინელ პროვოკაციას იწვევიან ამიერ-კავკასიაში და სახელს უტეხენ ახალ რესპუბლიკებს ევროპის წინ.

ჰქმნიან ისეთ მომწამვლელ ატმოსფერას, რომელშიც თვითონაც იხუთებიან და უნდათ სხვებიც დაახრჩონ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, როგორ ინფორმაციას იძლევიან სომხები თათრების წინააღმდეგ, როცა ქართველებისთვის ასეთი დეპეში მოაწერიეს კლემანსოს, თითქო საქართველო სომხეთს სიმშილით ჰკლავდეს...

ამის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ანტანტა დარწმუნდეს იმაში, რომ ამიერ-კავკასიაში შეუძლებელია მშვიდობიანობის დამყარება, რასაც ადვილათ გამოიყენებენ ადმირალ კოლჩაკის აგენტები, მაგრამ შეიძლება სომხებს სწორეთ ეს უნდოდათ!..

ამიტომ იყო, რომ დენიკინის შემოსევის დროს სომხები განზე გადგნენ. და გვეკითხებოდენ, ოსმალეთის შემოსევის დროს, ვისთან იქნებით ჩვენთან, თუ ოსმალეთთანო?..

ჩვენ ამის შესახებ გარკვეული პასუხი გვაქვს, ჩვენ ვგმობთ ყველა იმ მოქმედებას, რომელიც იწვევს კავკასიაში მშვიდობიანობის დარღვევას ვისგანაც უნდა იყოს ეს გამოწვეული. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ბედი დავუკავშიროთ თავზე ხელ აღებულ ავანტიურისტებს.

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ ჩვენი მთავრობის მიმართვას აზერბაიჯანის და სომხების მთავრობებისადმი, რომ საქმე მორიგებით გაათავონ და ერთმანეთს შეუთანხმდენ.

ჩვენ გვგონია, როგორც თათრები და უფრო სომხები გადახედავენ თავიანთ მოქმედებას და თუ კიდევ დარჩენიათ სურვილი დამოუკიდებლად არსებობისა, ამ ომის ლიკვიდაციას სწრაფ მოახდენენ. ჩვენი რჩევაც ეს არის და მოთხოვნაც...

უკანასკნელი ცნობები

ირლანდიაში რევოლიუციური მოძრაობა იზრდება.

კოლჩაკს ჩეხებმა უღალატეს. კოლჩაკმა იარაღის აყრა სცადა მაგრამ მათ არ აიყარეს იარაღი.

მოკავშირენი ჰუნგრეთში 5.000-იან ჯარს ჰგზავნიან.

ჰუნგრეთის მთავრობის პირველი ზომა იყო მიმართული სახლების სოციალიზაციის გაუქმების წინააღმდეგ.

ჰუნგრეთის სახალხო კომისრები ლანდვერი, ბელაკუნი და ვაგო ვენაში კონცენტრაციულ ბანაკში გაჰგზავნეს.

რუმინიის 30.000-იანი ჯარი ორშაბათს ბუდაპეშტში შევიდა.

ხელშეკრულების ძალით ინგლისი მოვალეა ფინეთს პეტროგრადის დაჭერაში დაეხმაროს!

ესტონეთში ესტონელებსა და რუს მოსახლეობის შორის შეტაკება მოჰხდა.

მოქალაქენო!

10, 11 და 12 აგვისტოს შესდგება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია არის № 2

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ერთად ერთი არა სოციალისტური ფრაქცია დამფუძნებელს კრებაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გარს იკრებს დემოკრატიულ, ხრა სოციალისტურ წრეებს.

ხმა მიეცით № 2

სომხური პრესა.

სომხები და ამერიკელები.

„ნორ აშხატავორი“ მე-158 ნომერში ეხება ამიერ-კავკასიის ხალხთა მშვიდობიანობის საკითხს. და სხვათა შორის, შემდეგს სწერს:

„ჩვენ წინადაც დაგვიწერია, რომ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ ამიერ-კავკასიის ერებისათვის საჭიროა, ამერიკულ ჯარების გამოგზავნა ჩვენ ქვეყანაში, რომელიც, როგორც სჩანს ერთად ერთი საშუალებად ითვლება ინგლისურ თვალსაზრისით.

რუსეთის აქედან წასვლის შემდეგ ძალების სწორწორობა დაიშალა, და ინგლისური ძალთა აქ მოსვლას უნდა აღედგინა ეს სწორწორობა. მაგრამ როცა ინგლისელები უნდა აქედან წავიდნენ, კიდევ წინ გვიდგება სწორწორობის საკითხი. ამერიკის ჯარების აქ მოსვლა კეთილ ზეგავლენა ექნებოდა, კერძოდ სომხეთზე, მაგრამ ამიერ-კავკასიის საერთო მასშტაბით თუ ავიღებთ, ეს ზომაც დროებითი იქნებოდა. ამერიკა ხანგრძლივ დარჩებოდა ხოლო იმ ქვეყანაში, რომლის მანდატი ექნებოდა. და ჯერჯერობით ჩვენ საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამერიკა გამოვა მანდატორის როლში საქართველოშიც და ადერბაიჯანშიც. მაშინ სად არის გამოსავალი? გარეშე ძალებს შეუძლიან მოვიდნენ ახალი რესპუბლიკები კი, რომელთაც უნდათ დაირჩუნონ თავიანთი დამოუკიდებლობა, მარტოთ რჩებიან პოლიტიკურ ოკეანეში პატარა ნავის მსგავსათ, რომელიც ქანაობს და ელის ხიფათს. ამ მდგომარეობისაგან გამოსასვლელათ საჭიროა თვით ადგილობრივ შეიქნას ისეთი მდგომარეობა, რომ სწორწორობის შესანახავად არ გვჭირდებოდეს გარეშე ძალების აქ მოყვანა.

მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ დროს, როცა ადგილობრივი ერები შეთანხმებას მოახდენდნენ ყველა სადაო საკითხების გარშემო და შესაძლებელს გახდიდენ მშვიდობიან ცხოვრებას. თავისთავად იგულისხმება, რომ როცა რომელიმე სახელმწიფო ცდილობს ისარგებლოს პოლიტიკურ ხელსაყრელ სიტუაციით და გადაჭრას ყველა საკითხები ცალმხრივ მეზობელ ხალხის საზარალოდ, მაშინ წინააღმდეგი მხარე იძულებულია ან გამოშორდეს შეთანხმებას ან დამხმარებელი ძალები მოსძებნოს სხვაგან. უკეთუ არა სასურველი შეთანხმების მოხდენის საჭიროებაა, მაშინ იმდენათ შეთანხმება არ შეიძლება მოხდეს რომელიმე მხრის ბრძანებით ან მოთხოვნით ძალადობით ჩამოგდებული შეთანხმება, რომლითაც ერთი მხარე იძულებული იყო დაეთმო თავისი სასიცოცხლო ინტერესები, უფრო გააძლიერებდა რევანშის გრძნობას. მაგალითათ ავიღოთ ბუხარესტის ხელშეკრულობა. მაშასადამე, ერთ მხარეს დავუშვათ ის, რაც ჩვენგან გარეა და ჩვენგან დამოუკიდებლათ ხდება — ესე იგი გარეშე ძალების მოსვლის და წასვლის საკითხი, ჩვენ ამიერ-კავკასიის დემოკრატების გადარჩენა ვხედავთ ხოლოთ ურთიერთ შეთანხმებაში. ეს შეთანხმება კი შეიძლება მოხერხდეს მხოლოთ იმ დროს, როცა შეინახება ზემოხსენებული პრინციპები“.

ფრანგული პრესა კოლჩაკის აღიარების შესახებ

ხუთთა მთავრობის მიერ კოლჩაკის აღიარებას ფრანგული ბურჟუაზიული პრესსა თანაგრძნობით შეეგება. მხოლოდ სოციალისტური გაზეთები შეჰხვდნენ ალმაცერად ამ ნაბიჯს. ქვემოდ მოგვყავს გაზეთების გამოხმაურება კოლჩაკის აღიარების გამო.

აი გაზეთ „ტანის“ (17 თიბათვე) შეხედულება. გაზეთის მეთაური „შველა რუსეთისთვის“ გამოსთქვამს სურვილს რათა მოკავშირეებმა დაუბრუნონ რუსეთს მშვიდობა და თავისუფლება. მოკავშირეებმა განუცხადეს კოლჩაკს დახმარება იმ შემთხვევაში თუ დაცული იქნება ზოგიერთი პირობანი. მოიხსენია რა თვის ძალა-ხელმწიფებით ციმბირსა და აღმოსავლეთ რუსეთში, აგრეთვე თვის ავტორიტეტი არხანგელსკში და დენიკინთან სოლიდარობა, კოლჩაკმა უპასუხა, რომ ის ლაპარაკობს სრულიად ეროვნულ რუსეთის პირით.

მოკავშირენი დაკმაყოფილდენ მისი პასუხით და განაცხადეს, რომ იგინი მზად არიან აღმოუჩინონ მის მთავრობას დახმარება, რასაც წინედაც იხსენიებდნენ.

რაში უნდა გამოიხატებოდეს დახმარება:

ა) სამხედრო ხელსაწყოს გაგზავნაში.

ბ) ეკონომიურ დახმარებაში და

გ) პოლიტიკურ თანაგრძნობაში.

1) დღემდე, საფრანგეთი და ინგლისი ბევრში ეხმარებოდნენ კოლჩაკს; ამ შემთხვევაში სამხედრო მატერიალის ხელმოკლეობა შევსებულ იქნება შეერთებულ შტატების მიერ.

2) ეკონომიურ დამოკიდებულებაში აღდგენილ უნდა იქმნეს გაცვლა გამოცვლა. აუცილებელია მიწოდება რუსეთისთვის ყოველნაირ საჭირო საქონლისა და შესაძლებლობაც რათა თვითონ გაიტანოს ნედლი მასალა და ამნაირად შემთხვევა მიეცეს თვისი ვალი გადაიხადოს. ბოლშევიკებისგან განთავისუფლებულ რუსეთის ტერიტორიების ავსება იმ საქონლით, რომელსაც ასე საჭიროებს მოსახლეობა არ არის ნუ თუ საუკეთესო საშუალება ბოლშევიკებთან ბრძოლისა? ინგლისმა და შეერთებულ შტატებმა ამ მიმართულებით მუშაობა კიდეც დაიწყეს.

3) პოლიტიკურად, მოკავშირე სახელმწიფონი იმუშავებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუ ისინი წრფელის გულით მოინდომებენ კვლავ ერთობილ რუსეთის შექმნას, თუ ისინი პატივის ცემით შეეგებებიან რუსულ ინტერესებს, იმ შემთხვევაშიც, თუ რუსებს ჯერჯერობით შეძლება არ ექნებათ მათი დაცვისა. წითელ არმიაში მრავალი ოფიცერი ოცნებობს ერთობილ რუსეთის აღდგენას ვის დროშის ქვეშაც გინდ იყოს. და მრავალი ჯარისკაცი წითელ არმიაში ჩაწერილი კლასიურ ბრძოლისათვის მივიდა იმ შეგნებამდე, რომ ის აწარმოებს ეროვნულ ომს. უნდა დაუმტკიცოთ ამ ბოლშევიკებს გადაცმულ პატრიოტებს, რომ მოკავშირეები არ ესწრაფიან როგორც ტროცკი და კომპანია რუსეთის განწევრებას, არამედ, პირიქით მთელი თავისი ძალღონით ეშურებიან მის ერთიანობისა და უფლების აღდგენას

„ჟურნალ დე დება“-ში (იმავე რიცხვით) მოთავსებულ ოგიუსტ გოვენის წერილიც „კოლჩაკის მთავრობის აღიარება“ გვაძლევს რამდენიმე საჭირო განმარტებებს ამ სადაო საკითხზე. „მოკავშირეთა დეკლარაცია თუმცა არ არი ოფიციალური აღიარება მაგრამ ეთანაბრება კი დე-ფაქტოს. ის ეთანასწორება დღევანდელ აჯანყებულ მდგომარეობას, რომელიც არავითარ საბოლოო გადაწყვეტილებას არ იძლევა.

გოვენის აზრით ამირბარ კოლჩაკის ავტორიტეტი მიღებულ რუსეთის ყველა საოლქო ანტიბოლშევიკურ მთავრობებისგან, აგრეთვე პარიზის რუსულ პოლიტიკურ კონფერენციის მიერ, და კოლჩაკის მთავრობა დღეს წარმოადგენს კარგად გაწყობილ მთავრობას საკმაო ზომის ტერიტორიაზე, რათა მოკავშირეებმა ამირბარი კოლჩაკი — მთავრობის მეთაურად ჩასთვალონ. მისი ახლანდელი მარცხი გვიჩვენებს, რომ მოკავშირეთა დახმარება უსაცილოა. ზოგიერთ მოკავშირეთა ყოყმანი, გამოწვეული იყო კოლჩაკის პოლიტიკურ მიზნებისგან; ეს ეჭვები დღეს გაფანტულია კოლჩაკის პასუხით. გამოსარკვევი რჩება ზოგი ტერიტორიალი საკითხები, რომლის საბოლოო გადაწყვეტას, ამირბარი კოლჩაკი ავალებს მომავალ დამფუძნებელ ყრილობას.

მეტად საინტერესოა კლემანსოს ორგანო „ომ ლიბრა“-ს აზრიც.

კოლჩაკის მთავრობის აღიარება,— ამბობს გაზეთი—არის აქტი და როგორც ყოველი აქტი, არის ღირებული. არაფერი ისე არ არის დამღუპველი პოლიტიკაში როგორც გამოურკვევლობა. ლაპარაკი იმაზე, თუ რა ღირს კოლჩაკის მთავრობა, ჯერ უდროოა. იქნებ მისმა ძალამ ვერ გადაამეტოს კერენსკის ხელმწიფებას.

იქნებ მის ზურგთ უკან, მისდა უნებურად რეაქციური ძალებიც იკრიფება? მაგრამ მან არ ძალუძს რუსეთის აღდგენა მოკავშირეთა დაუხმარებლივ. მოკავშირეებმა კი, დაუყენეს რა პირობები, მიიღეს შესაძლებლობა მუდამ კონტროლი გაუწიონ და უზრუნველყონ დემოკრატიულ რუსეთისთვის მისი ნების განხორციელება.

„მატენის“ აზრით ეს სერიოზული ნაბიჯია მისთვის რომ ბოლო მოეღოს რუსულ ქაოსს.

გაზეთი ხაზს უსვამს მოქმედების ახლობელ პროგრამასაც.

ეჭვი არაა, რომ მოკავშირეთა მიერ ჩადენილი აქტი უსაცილოდ შეასუბუქებს კოლჩაკის მიზნებს რუსეთში. მაგრამ იგივე უზრუნველჰყოფს საზავო კონფერენციის მიზანსაც.

აღმოსავლეთ „სტატუტის“ დამუშავებაში გართულ კომისიებს, შეძლება მიეცემათ დაასრულონ ის მუშაობა რომელსაც ახლა ხანდებში აწარმოებენ და მიუღონ პოლონეთსა და რუმინეთს აღმოსავლეთი საზღვრები. ეჭვი არ არი, რომ დემოკრატიული რუსეთი, რომლის ერთად ერთ შემომქმედ ძალად კოლჩაკი ითვლება, ეცდება კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იქონიოს პოლონეთსა და რუმინეთთან, მაგრამ ამისთვის საჭიროა შერიგება ორივე მხარის მოთხოვნილებებში და უარი რუსეთის მამულებზე თვალის ჭერაზე. (ბესარაბია, სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილო დასავლეთის არისა).

გაზეთ „ერ“-ის აზრით, „ხუთთა საბჭომ პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა, აღიარა რა კოლჩაკი და რა დაჰპირდა მას დახმარებას. ეს შეცდომაა — მათთვისაც კი, ვინც სდევნის ბოლშევიკურ რეჟიმის მოსპობას. კოლჩაკი წარმომადგენილია გულახდილ რეაქციისა. რუსეთი არ იქნება „მადლობელი ჩვენი შეცდომისათვის“.

ცხარე პროტესტს აცხადებს „ჰუმანიტე“ (14 მკათათვეს.) რომელშიც პიერი მოკავშირეთა გადაწყვეტილებას ეძახის ხმალში გაწვევას ყველა ერთა: რუსებისას, რუსეთის უცხოელთათვის, კავშირის ერებისას. იგი ამბობს რომ კოლჩაკის გარანტია არის „ქაღალდის ნახევები“, რომ ის ისე იცინის ერობებზე, როგორც საბჭოებზე, ყველაფერი რასაც ის აკეთებს, არის სიცრუე და დაცინვა და მისი პოლიტიკა ძალაში მიდის მხოლოდ უმაღლეს ფინანსიურ წრეების დახმარებით. ყველა უცხოელნი წინააღუდგებიან კოლჩაკს და პირველი შედეგი ამ უგონობისა იქნება ესტონურ და ფინთა ატაცების გაცივება პეტროგრადისკენ გალაშქრებაზე.

წერილი ბოლოვდება ცხარე მოწოდებით საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის მუშებისადმი, წინააღუდგნენ ისინი რუსეთში ზარბაზნებისა და ტყვიისმფრქვეველთა გაგზავნას.

ეშურეთ ყველა საშველად რუსეთის რევოლუციისა. თუ ეს ნათელი ჩირაღდანი ჩაქრა ღამე მოიცავს მთელ ევროპას. (ბ.)

ვილჰელმის ბედი

რეიტერს აუწყებენ, რომ ჰოლანდიას ვილჰელმის გაცემას მოსთხოვს 22—23 ქვეყნის წარმომადგენელნი.

პარლამენტის წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრემიერის განცხადებამ. ვილჰელმს გაასამართლებს ბრიტანელი, ფრანგი, იტალიელი და ამერიკელი მსაჯულნი.

ქართველები დენიკინის სამეფოში

ქართველების მობილიზაციის შესახებ „უტრო იუგა“ მკათათვის 25-ის თარიღით იუწყება:

ამიერ-კავკასიის მკვიდრი ქართველები, რომლებიც 1914 წლამდე სცხოვრობდნენ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სამფლობელოში ჩაითვლებიან მკვიდრ მცხოვრებლებად და საერთო კანონის მიხედვით გაიწვევიან ჯარში.

ის ქართველნი კი რომელნიც ითვლებიან ამიერ-კავკასიის მკვიდრად და გადმოსახლდნენ იქიდან არა უადრეს 1914 წლისა, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლდებიან.

ქართველთ, რომელნიც განთავისუფლების მოწმობებს მიიღებენ, ნება ეძლევათ იცხოვრონ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა როგორც მთელ სამფლობელოში, ისე კერძოდ ჩრდილო კავკასიაში.

განხეთქილება ბერლინის მუშათა დეპუტ. საბჭოში

„ჰუმანიტე“ (მკათათვის 19-ს) იუწყება, რომ მუშათა საბჭოში მომხდარმა კონფლიკტმა მეტად რთული ხასიათი მიიღო. მეუმრავლესე სოციალისტებმა და დემოკრატებმა გადასწყვიტეს საბჭო დასტოვონ საბჭოთა დატოვების გამო მათ შემდეგი დადგენილება მიიღეს: „დემოკრატიულ არჩევნებით მოწვეულ პარლამენტის დაარსების შემდგომ პოლიტიკური კომპეტენცია მუშათა საბჭოსი უნდა მას გადასცემოდა.

აღმასრულებელ კომიტეტმა (არ ჰქონდა უფლება თუ არ უნდოდა), მაინც ვერ შესძლო, რომ მუშათა საბჭო დემაგოგიისაგან განეშორებინა.

ყრილობისა და აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობა სრულიად უფერულად მიმდინარეობს.

მათ, მიუხედავად დიდი ცდისა, ვერ შესძლეს ეკონომიური ცხოვრების აღდგენა. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ შპიონაჟის წინააღმდეგ, რომელმაც შეზღუდა სისხლით მოპოვებული პრესის თავისუფლება.

ასეთს პირობებში ჩვენ მუშაობა არ შეგვიძლია და თავს ვანებებთ საერთო კრებებს და აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობას.

მთავრობის წრეებში

მთავრობამ დაადგინა:

გაგრის კლიმატიურ სადგურის პირად შემადგენლობის ჯამაგირების ნორმის გადიდების პროექტი მიღებულ იქმნა მთავრობის მიერ და გადაეცა დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად.

—

იმ პირთ, რომელთაც იურიდიული ფაკულტეტი დაასრულეს, მაგრამ დიპლომი არ მიუღიათ,—მიეცეს უფლება 6 თვემდე უჯამაგიროთ სამსახურის შემდეგ ჩააბარონ გამოცდები სასამართლოს კანდიდატების უფლების მისაღებად.

—

ნაფიც ვექილთა შუამდგომლობა სასამართლოს პირველ ინსტანციაში რუსულ ენაზე გაწეულ საქმეთა წარმოებას ამავე ენაზე განაგრძოს შესახებ თუ ამას მოითხოვს მომჩივანი ან მოპასუხე, უარყოფილ იქნეს.

—

იმ შეკითხვაზე, თუ ვისზე ვრცელდება მთავრობის მიმდინარე წლის მარტის 11-ის დადგენილება სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: ეს ჯილდო ვრცელდება იმ მოსამსახურეებზე, რომელნიც დათხოვნილ იყვნენ ამ დადგენილების მიღებამდე.

—

განათლების მინისტრის მიეცა უფლება სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საჭირო თანხა 1.538,476 მ. გაიღოს დროებით მის განკარგულებაში არსებულ კრედიტებიდან.

საბერძნეთის საგანგებო მისია თბილისში

გუშინ 7 აგვისტოს, დილის 7 ნახ. საათზედ თბილისში ჩამოვიდა საბერძნეთის საგანგებო მისსია დოქტორ სტოკრადაკისის მეთაურობით.

სადგურზედ მისიას შეეგებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის ბ-ნ მ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, რომელიც მიესალმა მისიას საქართველოს მთავრობის სახელით. მისსიას შეეგებენ და მიესალმენ აგრეთვე, თბილისის ბერძენთა კოლონიის წარმომადგენლები, რომელთა აღნიშნეს, რომ საქართველოს მთავრობა მათ ყოველთვის მზრუნველობით, ეპყრობოდა და საქართველოში ბერძნები ისე გრძნობდენ, როგორც მეორე სამშობლოში.

საბერძნეთის მისიის მეთაურმა, თავის საპასუხო სიტყვაში, მადლობა გადუხადა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს იმ გულწრფელი და თბილი მიღებისათვის, რომელიც მათ იგრძნეს საქართველოს ტერიტორიაზედ შემოსვლით და სრული იმედი გამოსთქვეს, რომ საქართველოსა და საბერძნეთს შორის მუდმივ იქნება ის მეგობრული კავშირი, რომელიც ძველათვე ყოფილა.

ქრონიკა

◆ **მისალმება.** თიანეთის მაზრის ახლად არჩეულ ხმოსანთა პირველ ყრილობისაგან მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას, სამხედრო მინისტრს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი მისალმება გაუგზავნა: „თიანეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა მხურვალედ მიესალმება საქართველოს უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც მოწოდებულია დემოკრატიულ კონსტიტუციის შესაქმნელად, მიესალმება მთავრობას, ახალგაზრდა ჯარს და გვარდიას, რომელნიც თავის სისხლით იცავენ სამშობლოსა და რევოლუციის მონაპოვარს. ყრილობა აღთქმასა სდებს, რომ მთელი თავისი ძალღონით თქვენთან იქნება საერთო დემოკრატიულ ინტერესების დასაცავად.

◆ **სოხუმის გვარდიის კონფერენცია.** გვარდიის მთავარ შტაბს სოხუმის ოლქის რაიონის შტაბის წარმომადგენელთა ყრილობისგან მისალმების დეპეშა მოუვიდა.

◆ **სენატორების არჩევის გარშემო.** გუშინ საღამოს დამფუძნებელ კრების დარბაზში შესდგა დამფუძნებელ კრების მიერ სენატორთა დასასახელებლად არჩეულ სარეკომენდაციო და იურიდიულ კომისიათა შეერთებული სხდომა სენატორების კანდიდატთა დასასახელებლად.

◆ **გერმანულ მასწავლებელთა ყრილობა.** ეკატერინოფელდში გაიხსნა ამიერ-კავკასიის გერმანელთა ახალშენების სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია.

◆ **სომხეთის დიქტატორი.** ამ დღეებში სტამბოლიდან თბილისში ჩამოვა და სომხეთს გაემგზავრება ამერიკელი პოლკოვნიკი ვილიამ ჰესკელი, რომელიც პარიზის კონფერენციამ სომხეთის დიქტატორად დაინიშნა და ფართე რწმუნება მიანიჭა.

◆ **ქურდების შეპყრობა.** მილიციამ შეიპყრო თევდორე იზგორცევი და ნიკ. მელიხოვი, რომელთაც მკათათვეს ფერმის ქუჩაზე ანნა კოვალოვის ბინა გაქურდეს.

◆ **ინგლისელი ჯარისკაცის მოკვლა.** აგვისტოს 6 საღამოთი ინგლისელთა ყაზარმების მახლობლად მინდორზე უცნობებმა მოკლეს ინგლისელი ჯარისკაცი ედმონდ მარატონი და დასჭრეს მასთან მყოფი ქალი ანნა კანიშოვისა.

კრებები.

◆ **ექიმთა პროფესიონ. კავშირ. თბილ. განყოფილების კრება.** დღეს პარასკევს 8 მარიამობისთვეს საღ. 7 ნახ ს. მიხეილის სამკურნალოში დანიშნულია გაგრძელება კრების, რომელზედაც განხილულ იქნება საექიმო სასანიტარო ინსპექტორის თანამდებობაზე დასახელებულ კანდიდატების Curriculum vitae ები და წინა კრებაზე დასმული სხვა საკითხებიც.

ტანვარჯიშობისათვის

ტანვარჯიშობის მთავარ გამგემ გ. ეგნატაშვილმა შემდეგი მოწერილობა დაუგზავნა ქალთა და ვაჟთა სასწავლებლების უფროსებს:

„აღძრულ საჭიროების გამო გთხოვთ, რაც შეიძლება სასწრაფოდ წარმოადგინოთ სამინისტროში შემდეგი ცნობები:

1 არსებობს თუ არა თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში ტანვარჯიშობისათვის სპეციალურად მიჩნეული დარბაზი და დადებით შემთხვევაში, რა სიგრძისა, სიგანისა და სიმაღლისაა ეს დარბაზი?

2. რამდენი და რა ტანვარჯიშობის იარაღი მოეპოვება სასწავლებელს?

3. ვის აქვს ჩაბარებული ტანვარჯიშობის გაკვეთილები, რა სისტემით ასწავლის და რა სპეციალური განათლება აქვს მიღებული მასწავლებლებს?

4. რამდენი გაკვეთილია მიჩნეული ტანვარჯიშობისათვის თვითეულ კლასში და რა პროგრამით სწარმოებს ამ საგნის სწავლება?

5. თუ ამჟამად სასწავლებელს არ მოეპოვება ტანვარჯიშობისათვის ცალკე დარბაზი, მოსახერხებელია თუ არა სასწავლებლის შენობაში მოეწყოს ესეთის დანიშნულებისათვის რომელიმე ოთახი?

სამხატვრო ქრონიკა

ვალერიან სიდამონ-ერისთავის სურათები. მხატვარი ვალერიან სიდამონ ერისთავი ჩამოვიდა თბილისში. მას შემდეგი სურათები შეუსრულებია: „თამარის დროშა გაშალეს“, „ამბოხება კახეთში“, „ალექსანდრე ბატონიშვილი“, „თუშები მთაში“, „კარაქი“, „დიმიტრი თავდადებული“, „მორგვლა“, „ხევსურები სცეკვავენ“, „სანაძლეო“. „მელადების შეტაკება“, „ნიკოლოზ სულხანიშვილის პორტრეტი“, „პატარა კახი“ და სხ.

◆ **ჭადრაკი ქართულ სტილში.** ვალერიან სიდამონ-ერისთავმა გამოაქანდაკა ჭადრაკი ქართულ სტილში. მოპირდაპირენი — კახელები და ლეკები. კახელები — შავები, ლეკები — თეთრები. ჭადრაკისთვის სპეციალურად დამუშავებულია მაგიდა და ორი სავარძელი. ქართულ სტილზე მხატვარს განზრახვა აქვს ჭადრაკი თბილისში ერთ-ერთ გამოფენაზე გამოსდგას.

პროვინციის ცხოვრება

ს. მონასტერი.

ბოროტ გამზრახველებმა 23 მკათათვეს, შუადღის 1-ლ საათზე გადასწვეს სოფლის კოოპერატივი და კანცელარია. ზარალი აუწერელია.

ს. ახალსოფელი.

სოფელ ახალსოფელში (გარედ-კახეთი) შავი სახადი დღემდე მძვინვარებდა. დიდძალი ხალხი იმსხვერპლა.

ს. პატარძეული.

— ვენახები დაინაცრა. პურის მოსავალი საშუალოა.

— მკვლელობა გახშირდა.

— ადგილობრივ დრამატიულ წრემ ადგილობრივ საფეიქრო სასწავლებლის სასარგებლოდ გასულ კვირას, დასდგა: „დარისპანის გასაჭირი“ და „ხოსიას ღელე“.

ეკონომიური ცხოვრება

„ახალი კოლხიდის ამხანაგობამ“, რომელიც დაარსდა ქუთაისში აგრი-

შემის საქსოვ ფაბრიკების მოსაწყობად, მოწყრილობა მიიღო მომმარაგებელ კომიტეტისაგან. თქვენი პასუხი ჩვენს რწმუნებულს ჩააბარეთო, ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე—პარკი ჩვენ გასასყიდათ არ გვაქვს დამზადებული, არამედ მოსაქსოვადო და უკეთუ პარკი ჩამოგვართვით ჩვენ მიერ დაწყებული საქსოვი საქმე სრულიად უნდა დავხუროთო.

ქართულ საღერბო მარკისთვის.

თანახმად ფინანსთა მინისტრის განკარგულებისა, ამ თვის ხუთმეტი რიცხვიდან რესპუბლიკის ფარგლებში გაბათილებულად ითვლებიან რუსეთის საღერბო მარკები და იმავე რიცხვიდან მიღებული უნდა იქნეს სახმარებლად ახლად დამზადებული ქართული საღერბო მარკები.

ხუთმეტი აგვისტოდან ყოველგვარი ქაღალდების და საბუთების საღერბო ხარჯი გადახდილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართული მარკებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ასეთ ქაღალდებს და საბუთებზე სრულიად არ არის გადახდილი საღერბო ხარჯი და იმ პირებს, რომლებისგანაც არის მიცემული ან რომლებიც მიიღებენ ასეთ ქაღალდებს და საბუთებს, გადახდებათ ჯარიმა საღერბო წესდების თანახმად.

ზემო აღნიშნულ ფინანსთა მინისტრის განკარგულებას სამართველო აწოდებს რედაქციას გაზეთის მასალათ ქრონიკაში მოსათავსებლად.

გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამართველოს უფროსის მაგიერ
ბ. კაკნაძე.

სულო ბოროტო, შორს ხალხისაგან!..

1905 წელს გურიაში ერთმა პროპაგანდისტმა მიტინგის დროს გამოატანია საყდრიდან ერთი ხალხში ძლიერათ მიჩნეული ხატი, ხალხის თვალწინ რევოლვერის ტყვიით დაცხრილა იგი; მერე მიუბრუნდა ხალხს და ამაყად უთხრა: „თქვენ რომ ამ ხატის გეშინიათ, ახლა ხომ ხედავთ, რომ არაფერი შეძლებია, მე ვერაფერი მიყო“.

ხალხი დუმილით შეხვდა ამ ამბავს, მხოლოდ ერთმა მოხუცებულმა გურულმა დაარღვია სიჩუმე, წარსდგა წინ და მოახსენა: „დაილოცა მისი ძლიერება!.. ქვეყნიდან შეუმლიხარ, მეტი რაღა უნდა ექნაო“...

გამიგონია მე ეს ამბავი და არ მჯეროდა. არ მჯეროდა იმისთვის, რომ ასეთი მხეცი ვერ წარმომედგინა. ეს მხოლოდ გურული გლეხის მახვილგონიერების დამახასიათებელი ანეკდოტათ მიმაჩნდა.

ვიცი მკითხველო, არც შენ დაიჯერებ ამ ამბავს—ქართველი კაცი ასეთ მხეცობას არ ჩაიდენსო, მაგრამ ხომ გაგიგონია „გაურჯულებული ქრისტიანი ურჯულოზე უარესიაო“.

ოხ, რა ძნელია რწმენის გაქარწყლება!.. მაგრამ რა ვქნათ, მკითხველო? ბევრი რამ დავმალეთ, გვეგონა გასწორდებოდენ, მაგრამ თურმე კუზიანს მარტო სამარე გაასწორებს.

იმაზე უარესი სიმხეცის მოწმენი ვართ დღეს, თოთხმეტი წლის შემდეგ ერთ-ერთი მიწად მიმღებ კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი გველესიანი შევარდნილა სოფ. ღელიკოტრის (შორაპნის მაზრა) საყდარში, რევოლვერი შეიდჯერ გაუსროლია შიგ საყდარში და ხატები ერთიან დაუცხრილავს.

თითო ოროლა მხეცი ხალხში ყოველთვის გამოერევა აქ სამწუხარო უფრო სხვა არის. 1905 წლის „გმირს“ ხალხი სიჩუმით შეხვდა და ერთმა ენამახვილმა გურულმა საკადრისი პასუხიც გასცა; ახლა კი, თურმე, ამდროინდელ „გმირს“ ხალხში ქომაგიც გამოსჩენია ადგილობრივ კომისრის მეთაურობით.

მერე ეს ხდება როდის? მაშინ, როდესაც სოციალისტურმა მთავრობამ სინიდისის თავისუფლება გამოაცხადა.

1905 წლის „გმირი“ უპასუხისმგებლო პროპაგანდისტი იყო. ჩვენი „გმირი“ კი მთავრობის აგენტია—ოფიციალურ კომისიის თავმჯდომარე.

მაშინ ათეისტობა, სამღვდელოების და სარწმუნოების გინება სოციალისტობას ნიშნავდა და ასეთ მოქმედებას ამართლებდენ იმით, რომ საჭირო იყო ხალხში არევ-დარევის შეტანა.

ნუ თუ ახლაც ესაა საჭირო?

გინდა დავიჯერო, რომ ჩვენი მთავრობა ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს, მაგრამ.....

ალბათ, ბ-ნი გველესიანი სოციალისტი იქნება!..

მას სასამართლო ვერ გაამართლებს!..

ხალხი, გაფცქვნილი გარედან, გახრწნილი სულით და გულით—უსიყვარულო, ურწმუნო, საშიშია ყველასათვის!

მიხედეთ ხალხს!..

ნუ წაართმევთ ყველაფერს!..

შ. გვალია.

უცხოეთის ამბები ჟურნალ-გაზეთებიდან.

შეიხ ულ-ისლამის სასჯელის პატიება.

შეიხ ულ-ისლამს, მუსა ყიაზიმ ეფენდის, რომელსაც ახალგაზრდა ოსმალურ მოძრაობაში სდებდნენ ბრალს და რომელსაც ამისათვის 15 წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი, დანაშაული აპატიეს. მიტევების მიზეზად ასახელებენ მის მაღალ სასულიერო წოდებას. სულთანმა შეიხულ ისლამს სასჯელი სამშობლოდან გაძევებით შეუცვალა.

ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკა.

რეიტერის სააგენტოს აუწყებენ, რომ ჩეხო-სლოვაკთა ახალს რესპუბლიკას უჭირავს 55.000 კვადრატული მილი. და მაზე დასახლებულია 14 მილიონი მცხოვრები. გერმანელთა რიცხვი ბოჰემიაში მოსახლეობის 25 პროცენტია. მორავიაში—18 პროც. მთლიანი რიცხვი ამ ტერიტორიაზე მოსახლე გერმანელთა 2 ნახ. მილიონს არ აღემატება.

გალიციის ბოლშევიკთაგან უზრუნველ-საყოფად, უმაღლესმა საბჭომ ნება დართო პოლონეთის ჯარს რომ სამხედრო მოქმედება მდინარე ზორუნცამდე განავითაროს.

კოლჩაკის მარცხის მიზეზები.

ეკატერინოდარიდან „იუჟნ კრაი“-ს აუწყებენ:

„რეიტერის სააგენტო ცნობით კოლჩაკმა ვერ შესძლო იმ ამბოხებების ჩაქრობა, რომელმაც თავი იჩინა ციმბირის ჯარში. მრავალი პოლკების რეორგანიზაცია მოხდა თუმც მრავალი პოლკი დარჩა ისეთიც, რომელსაც ამბოხება არ მოსდებია. ჩრდილოეთის ლაშქარი დღემდე საბრძოლველად კიდევ ვარგა. რეიტერის სააგენტო იუწყება კოლჩაკი რომ ზურგს გაიმაგრებს, ჩქარა ისევ შეტევაზე გადავა.

ოდესა

ოდესის მახლობლად გრიგორიევსა და საბჭოთა მთავრობის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. გრიგორიევის ჯარებს ეხმარებიან გლეხთა რაზმები. მრავალი კომისარი ჩრდილოეთისაკენ გაიქცა და თან გაიტაცა ბანკებიდან და ბურჟუაზიაზე კონტრიბუციის სახით გაწერილი ფული.

მკათათვის პირველ რიცხვებში ამბოხებულები რამოდენიმეჯერ მიუახლოვდნენ ოდესის სანახებს, რომლის გამო გავრცელდა ხმები ოდესის აღების შესახებ.

ბოლშევიკები მეტად თავგამოდებით იბრძვიან თეთრების წინააღმდეგ.

ატ. გრიგორიევი და რუმინეთის მოლაპარაკება

ეკატერინოსლავიდან მკათათვის 20 თარიღით იუწყებიან: ყირიმიდან საბჭოთა ჯარის დახევამ მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ატ. გრიგორიევი. ნიკოპოლ - ალექსანდრიიდან, სადაც მან შეადგინა რამდენიმე პოლკი და სერდიუკის დივიზია, იგი ბოლშევიკებმა განდევნეს.

საბჭოთა ჯარის ოდესიდან ხერსონში წასვლამ გრიგორიევის მდგომარეობა კვლავ გამოაკეთა. მან ახლა დნესტრამდისაც მიაღწია, სადაც მოლაპარაკება დაიწყო რუმინეთის ჯარის სარდლობასთან, ოდესაზე შეერთებულ შეტევის მოსაწყობად.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 2-ს.

ინგლისურის პრესა.

კონფერენც. კომისიებში მუშაობა.

სამშაბათს დილით შესდგა შპიცბერგენის კომისიის სხდომა. ნაშუადღევის 3 საათზე ბულგარეთის საზღვრების საერთაშორისო კომისიამ ბულგარეთის აღმოსავლეთის და სამხრეთის საზღვრების საკითხი განიხილა. 2 საათზე შესდგა პოლონეთის კომისიის სხდომა და 4 ნახ. ს-დე გაგრძელდა იმ კომისიის სხდომა, რომელსაც 1839 წლის ხელშეკრულების გადასინჯვა აქვს მინდობილი.

ავსტრიის ხელშეკრულება.

ოთხშაბათს ავსტრიის დელეგაცია გადასცემს წერილობით განცხადებას, იმავე დღეს საღამოთი რენნერი ვენაში წავა. მის დაბრუნებამდე დელეგაციის მეთაურებად ეიხჰორნი და შულერი იქნება.

გერმანული პრესა.

გერმანეთი და ჩინეთი.

პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის პარლამენტმა შეიწყნარა წინადადება გერმანიასთან მშვიდობიან ურთიერთობის განახლების შესახებ, რასაც გერმანული პრესა იმით ხსნის, რომ ჩინეთი ხავს ხელს არ აწერს შანდუნის შესახებ იაპონიასთან მომხდარ ურთიერთობის გამო.

რამზაი მაკდონალდის სიტყვა.

ლიუცერნში რამზაი მაკდონალდმა სიტყვა წარმოსთქვა. კონფერენციის მიზნების შესახებ მან აღნიშნა ბერნში შექმნილ ორგანიზაციის ზრდა, პროგრამის შემუშავება, სოციალისტურ მთავრობისთვის მხარის დაჭერა, სოციალურ საკითხების განხილვა, გლეხების განათლება, მუშების გაერთიანება, რუსეთისადმი საერთო პოლიტიკის წარმოება კაპიტალიზმის და მილიტარიზმის გავლენის მოსპობა.

ბოლშევიკური ცნობები

იამბურგის მიმართულებით.

პეტროგრადი. აგვის. 5. იამბურგის მიმართულებით მტერი დავიმარცხეთ.

ჩეხელების ღალატი.

სამარა. აგვისტოს 4. პეტროპავლოვსკში ომსკის მთავრობასა და ჩეხელების შორის განხეთქილება მოხდა. ომსკის მთავრობას წითელი ჯარის მხარეზე ჩეხების გადასვლისა ეშინოდა. რის გამოც საიდუმლო ბრძანება გამოსცა ჩეხელებისთვის იარაღის აყრის შესახებ. ჩეხელებმა ეს შეიტყვეს და იარაღი არ აიყარეს.

სამხედრო ცნობა

№-ის არმიის შტაბი. აგვის. 4. პსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ. სამხრეთით კი წინსვლას განვაგრძობთ და რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ლიზენჰოფის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის საყარაულო რაზმი განვდევნეთ, მათ 10 მოკლული დასტოვეს; ტყვედ წამოვიყვანეთ 2.

№-ის არმიის შტაბი. წითელ არმიელებს გლეხები ისე ეგებებიან როგორც მხსნელებს; ერთ სოფელში პურმარილით შეხვდნენ. ვედენიდან გამოქცეულთა სიტყვით, ყაზახებში ტყვე წითელ არმიელებს ათეულობით ხვრეტენ. მოხალისე კომუნისტებს დაუყოვნებლივ ხვრეტენ. პროფეს. კავშირის წევრები სანგრების სათხრელად გაყავთ. ტყვეებს მხეცურად ეპყრობიან და ტანისამოსს ართმევენ.

სამხედრო ცნობა. აგვისტოს 6 დასავლეთის ფრონტი. ტბების რაიონში და ონეგის ტბაზე ჩვენ გემებს მტრის ჰიდროპლანებმა და ფლოტილიამ ყუმბარები დაუშინა. ჩვენ ბრძოლით პეტროზავოდსკიდან დავიხიეთ. ამავე დროს ჩვენმა ჯარმა პონიევეჟის ყურესთან უკან დაიხია. კორელის რაიონში ჩვენმა ჯარმა ფინეთის საზღვარს მიაღწია. ნარვის მიმართ ჩვენი ჯარი მდ. ლუგის ხაზზე გამოჩნდა. მინსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა რაკოვი დაიჭირა.

სამხრეთის ფრონტი. ეკატერინოსლავის მიმართულებით ვერხოვცევო დავსტოვეთ. პოლტავის მიმართულებით ბრძოლაა. კოლჩაკის მიმართულებით ტალოვაიას სამხრეთ აღმოსავლეთით ბრძოლაა. ნოვოხოპერის და ბორისოგლების რაიონში ბრძოლაა კამიშინის მიმართულებით ბრძოლაა.

აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ვერხნე-ურალსკის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჩელიაბინსკის რაიონში ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგეს ავიწროვებს. კამიშლოვის რაიონში ჩვენ ბრძოლით წინ წავიწიეთ.

რუმინიის მეფე ჰუნგრეთში.

ნაუენი, აგვისტოს 5. როცა ბუდაპეშტში აღდგენილი იქნება სრული წესრიგი, იქ რუმინიის მეფე მივა. რუმინიის შეტევამ ჰუნგრელებში დიდი აღშფოთება გამოიწვია და ბელაკუნის ავტორიტეტი გააძლიერა მუშებში, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ის ნამდვილად იცავდა ბუდაპეშტს რუმინელებისაგან, რომლებიც ყველაზე უფრო საძულველ მტერს წარმოადგენენ ჰუნგრეთის ხალხისთვის.

მოკავშირენი ჰუნგრეთში.

ნაუენი, აგვისტ. 5. შეუმოწმებელი ცნობებით, მოკავშირენი დათანხმდნენ ბუდაპეშტში 5000 კაცის გაგზავნას, ეს ერთად ერთ საშუალებად მიაჩნიათ რუმინელების ბუდაპეშტიდან გამოსადევნათ.

ჰუნგრეთში.

ნაუენი. აგვ. 5. უნგრეთის წითელ ჯარს ითხოვენ. რჩება მხოლოდ ბუდაპეშტში ჰუნგრეთის ჯარის 4,000 კაცი და დანარჩენ ჰუნგრეთში წესრიგის დასაცავად 20.000 კაცი. ახალი მთავრობა მოითხოვს, რომ ბუდაპეშტში მოკავშირეთა 5.000 ჯარის კაცი მოიწვიონ რუმინელების მიერ ძალადობის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად.

ჰუნგრეთის ახალი მთავრობა და მოკავშირენი.

ლიონი. აგვ. 5, უნგრეთის საბჭოთა მთავრობის დაცემის შესახებ ფრანგული გაზეთები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ჰუნგრეთთან მოკავშირეების დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ შეიცვლება, როდესაც ბუდაპეშტის ახალი მთავრობა თავისი მოქმედებით აჩვენებს, თუ როგორია ის.

მარცხი ჰაერში

ნაუენი. აგვ. 6. გუშინ დილით გერმანელი ჰაეროპლანი, რომელმაც ზემო სილეზიაზე გადაიფრინა, ძირს ჩამოვარდა და 6 მგზავრი სასიკვდილოდ დაშავდა. ჰფიქრობენ, რომ მათ რიცხვში იყო დასავლეთ უკრაინის ფინანსთა მინისტრი ვიტოვსკი. კატასტროფის ადგილზე იპოვეს 4 მილიონი უკრაინული ფული და უკრაინის მთავრობის საბუთები.

სახალხო კომისრები კონცენტრაციულ ბანაკში

ნაუენი. აგვ. 5. სახალხო კომისარები ლანდლერი, ბელაკუნი და ვაგო ვენაში კონცენტრაციულ ბანაკში გაიგზავნენ. ისინი ტყვეებად არ ჩაითვლებიან. პაგანი და სხვა კომუნისტები, რომლებიც ვენაში მივიდნენ, გუშინ ბანაკებში მოათავსეს.

ბელაკუნის უკანასკნელი სიტყვა.

კიევი, აგვ. 4. 21 ივლ. ც. ქ. კომიტეტში წარმოთქმული ბელაკუნის სიტყვის ტექსტი მოვიდა, სადაც მან აღნიშნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის რყევა კონტრ-რევოლიუციონერების მიმართ აიხსნება იმ კრიზისით, რომელიც უნგრეთშია. ეკონომიური კრიზისი აიხსნება წარმოების სიძნელით, კრიზისი წარმოსდგა აგრეთვე ჩვენი სხვა და სხვა დაწესებულებების დარღვევით პროლეტარიატის დიქტატურამ ექსპლოატატორებს შიშის ზარი უნდა დასცეს. პროლეტარულ რევოლიუციის მტრები უნდა მოისპონ. უნდა დავიწყოთ გაბედული მოქმედება, იმის გამო, რომ კონტრ-რევოლუციამ თავი წამოყოს. ძლიერ ლმობიერად ვეპყრობოდით ბურჟუაზიას, რომელიც თითქოს ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. ჩვენ არ გვინდოდა მოხელეების და ოფიცრების გაბრაზება და ამის გამო შეიქმნა დღევანდელი ჩვენი ძალა უფლების კრიზისი. ამოქმედდა კონტრ-რევოლიუცია, რომელიც ეროვნული პრინციპებიდან გამოდის და რომლებიც უფრო საშიშნი არიან ვიდრე სოციალ-შეთანხმებელნი.

რუმინიის ჯარი ბუდაპეშტში.

ნაუენი. აგვ. 5. იუწყებიან, რომ რუმინიის 30,000 ჯარი ორშაბათს ბუდაპეშტში შევიდა, ყველა მაღაზიები დახურეს. ხელში ჩაიგდეს ტელეგრაფი და რკინის გზის ლიანდაგი გადასჭრეს.

ახალი მთავრობა.

ნაუენი. აგვ. 5. საბჭოთა სისტემიდან ნამდვილ სოციალისტურზე გადასვლა უფრო ჩქარა ხდება, ვიდრე ამას მოელოდნენ. დღეს ახალ სამინისტროს შემადგენლობას გამოაქვეყნებენ; სამინისტროში შედიან გლეხთა და ბურჟუების წარმომადგენლები. კაბინეტის ყოფილი წევრი ერნესტ კარალი ბუდაპეშტის ქალაქის თავად დაინიშნა. ყოფილი ქალაქის თავი კარლდიცი ეხლა ქალაქის კომენდანტად დაინიშნა.

მოკავშირენი და ახალი მთავრობა.

ლიონი, აგვისტოს 5. საზავო კონფერენცია ჯერ კიდევ არ იცნობს ბელაკუნის მემკვიდრეს. ჰფიქრობენ მაინც, რომ მოკლე ხანში მდგომარეობა იმდენად გამოირკვევა, რომ შესაძლებელი იქნება საზავო მოლაპარაკების დაწყება. ჰუნგრეთში რუმინიის ჯარის გადაჯგუფება საზავო კონფერენციას აფიქრებს. ცნობა მოვიდა, რომ ჰუნგრეთის ახალი მთავრობა, რომელიც სოციალისტურია, გლეხთა პარტიას და ბურჟუაზიას მინისტრების პორთფელებს სთავაზობს.

ფინეთი და ინგლისი.

ველიკია ლუკი. აგვ. 5. „ავტონ ბლადეტი“ იუწყება, რომ ინგლისთან ხელშეკრულების თანახმად ფინეთს ნება ეძლევა აღმოსავლეთ კორელიაში რეფერენდუმის მოხდენა. ინგლისი მოვალეა პეტროგრადის დაჭერაში დაეხმაროს.

მოსკოვი. აგვ. 6. თემთა პალატაში ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ვილჰელმს სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტენ თუ ის ომის დაწყებაში დანაშაულათ იქნა აღიარებული.

იაპონია და მოკავშირენი.

პარიზის გაზ. „მიდი“-ს დღევანდელ ნომერში ფილიპ მილ იაპონიას აფრთხილებს, რომ მისი პოლიტიკა შანდუნის საკითხში მთელ ქვეყანაში უკმაყოფილებას იწვევს. იაპონიამ უნდა გამოაქვეყნოს ოთხთა საბჭოსთან საიდუმლო მოლაპარაკება შანდუნის დაბრუნების შესახებ. იაპონიის რწმუნებულმა ვაშინგტონში განაცხადა, რომ იაპონია ვერ გამოაქვეყნებს ამას ვიდრე ჩინეთი ხელს არ მოაწერს ვერსალის ხელშეკრულებას, სხვა სიტყვით, ჩინეთმა წინ და წინვე უნდა დაიდგას მონობის უღელი. თუ იაპონიამ ზომები არ მიიღო ამერიკის დასაკმაყოფილებლად, ის თავის წინააღმდეგ ამხედრებს საზოგადოებრივ აზრს. ეს ელზას-ლორენის გამეორებაა. იაპონიის ინტერესებისთვის სასარგებლო არ არის ამერიკისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ინგლისსა და საფრანგეთს არ შეუძლიათ ამ შემთხვევაში მხარი არ დაუჭირონ შეერთებულ შტატებს.

ფრანგული პრესა

იაპონიის ყურადღება პრუსიის მილიტარიზმზე იყო მიქცეული. იაპონიას ერთის სიტყვით შეუძლია მოსპოს მის მიერვე შექმნილი გაუგებრობანი და გასაკვირველია, რომ ბრძენი და გამოცდილი დიპლომატები აქამდე ასე არ მოიქცნენ

პოლონეთში.

პადერევსკიი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა, ის ტაშით დააჯილდოვეს. მოკავშირეებს და განსაკუთრებით, საფრანგეთს ოვაციები გაუმართეს. ჰფიქრობენ, რომ პადერევსკი დარჩება, ხოლო მის კაბინეტიდან რამდენიმე წევრი გავა.

ალჟირის ახალი გუბერნატორი.

ალჟირის გენ.-გუბერნატორად ამას წინად გადამდგარ ჟონარის მაგიერ პალატის თავმჯდომარის ამხანაგი აბელი დანიშნეს.

სამხედრო მოქმედების შეწყვეტის დღე

საფრანგეთის მთავრობამ პალატას წინადადება წარუდგინა სამხედრო მოქმედების შეწყვეტის ოფიციალ დღის დანიშვნის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ ასეთ დღეთ იქნება ოფიციალური ორგანოში დადასტურებულ საზავო ხელშეკრულების გამოქვეყნების დღე.

გერმანული პრესა.

გერმანელები სამშობლოს სტოვებენ.

დღე და დღე იზრდება უცხოეთში წამსვლელთა რიცხვი. განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკაში მიემგზავრებიან ახალგაზრდა გერმანელი ინჟინერები, მექანიკოსები და სპეციალისტ-ხელოსნები.

ულუფის სისტემა გერმანიაში.

ჯერ შესაძლებელი არ არის გერმანიაში ულუფის სისტემის გაუქმება განსაკუთრებით ხორცზე, რძეზე და ერბოზე. ოქტომბრის 1-დან პურის და ფქვილის ულუფის გადიდებას აპირებენ.

რუპრეხტის განცხადება.

ბავარიის ყოფილი კრონპრინცი რუპრეხტი ბავარიის პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილში სურვილს გამოსთქვამს, რომ რაც შეიძლება მალე დაინიშნოს სახელმწიფოებრივი გასამართლება გერმანიის პოლიტიკის ხელმძღვანელთა ომის პასუხისმგებლობის გამოსარკვევად. პრინცი აცხადებს, რომ ის არ დაემორჩილება მოკავშირეთა სასამართლოს.

ბელაკუნის დაპატიმრება.

ვენაში ჩამოსული ბელაკუნი დააპატიმრეს. ჰუნგრეთის სახალხო კომისარი ზიბორ ფამილი კი შაბათს გაიქცა, მაგრამ საზღვარზე შეიტყვეს მისი ვინაობა, რის გამოც მან თავი მოიკლა.

ჰუნგრეთის ახალ მთავრობის განცხადება.

ბუდაპეშტის ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ მას თავის უმთავრეს მიზნად მიაჩნია შინაგან წესიერების დაცვა და მოკავშირეებთან მოლაპარაკების წარმოება.

„თეთრი წიგნი“.

გერმანიის თეთრ წიგნში, რომელშიც წინასწარ საზავო მოლაპარაკებაა მოყვანილი, მოთავსებულია პრუსიის ელჩად მიუნქენში ნამყოფ ფონ-ტრეიტლესის და გერმანიის ელჩის ბერნში ფონ-რომბერგის დეპეშები კაიზერის გადადგომისა და სეპარატიულ ზავისადმი მიუნქენის მთავრობის დამოკიდებულების შესახებ. მიუნქენის პრესას დავალებული აქვს გამოაცხადოს, რომ 1) მართალი არ არის, ვითომ ბავარია ნოემბრის 3 უქმად მოითხოვდა კაიზერის გადადგომას. ბავარიის მთავრობამ მაშინ სურვილი გამოსთქვა, რომ პასუხისმგებელ [illegible] კაიზერისთვის ეუწყებიათ საქმის ნამდვილი მდგომარეობა და ამასთანავე განაცხადა, რომ მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ კაიზერი თავის ნებით გადადგებოდა. 2) ბავარიის მთავრობა არას დროს არა სცდილა სეპარატიულ ზავის ჩამოგდებას და პირიქით კიცხავდა ასეთ განზრახვებს.

პროტესტი რუსეთის ბლოკადის წინააღმდეგ.

მოსკოვი. აგვ. 5. ამსტერდამში პროფესიონალური კავშირების კონფერენცია რუსეთის და ჰუნგრეთის ბლოკადის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს.

საბჭოთა ჯარი პოლონეთის მხარეს.

კიევი. აგვ. 6. საბჭოთა ჯარმა სარნი დაიჭირა. პოლონელები გარბიან. გლეხები დაუზოგავად ებრძვიან ბრბოებს.

ჩელიაბინსკში.

სამარა. აგვ. 4 ჩელიაბინსკის აღების დროს წითელ ჯარში 6.000 მუშა ჩაეწერა თავის ნებით.

ბურჟუების ბეგარა.

პეტერბურგი. აგვ. 5. ზღვის ნაპირზე პეტერბურგის ახლო მოეწყო კონცენტრაციული ბანაკი. ბანაკის მცხოვრებნი არიან ბურჟუები, რომელნიც შრომის ბეგარას გაექცნენ. ისინი სამუშაოდ გაიწვიეს.

ბულგარეთის გარშემო.

ლიონი. მიუხედავად საფრანგეთის და საბერძნეთის ცდისა, ამერიკის გავლენის მოსახდენათ, ფრაკიის საკითხმა შეიძლება ბულგარეთში ისეთი მდგომარეობა შექმნას, რომელიც ბალკანეთის ახალ ომს გამოიწვევს. ფრანგები ლაპარაკობენ, რომ ამერიკელებს ევროპაში მოპოებანი სურთ.

სერბიელები, რომლებიც ბულგარეთზე უფრო მეტად იტანჯებიან, იმ საკითხის გარჩევის დროს უკან დახიეს. იტალიელები ფრაკიის საბერძნეთისთვის გადაცემის წინააღმდეგი არიან.

იტალიის დაკმაყოფილება

ლიონი. აგვ. 5. ფიუმეს იტალიას გადასცემენ, ნავთსადგური ღია დარჩება და ხალხთა ლიგის კონტროლის ქვეშ იქნება. იტალია უარს იტყვის დალმაციაზე და თავის მოთხოვნილებათა უმეტეს ნაწილზე. ყოველივე იმაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა თავის თავზე ამერიკა სტამბოლის მართველობას თუ ლოიდ ჯორჯი და ვილსონი შეთანხმდებიან საზავო კონფერენციის მუშაობა დასრულდება.

უკრაინის სამხედრო ცნობახ. არწის მიმართულებით ჩვენი ჯარი დაშბროვისკენ წინ მიდის. ჟმერინკას რაიონში რაიონში ჩვენ მტერმა ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით რამდენჯერმე შემოგვიტია, მაგრამ უკუვაგდეთ. პოდოლის-მოგილევის მიმართულებით ჩვენმა ნაწილმა სადგურ (?) უკან დაიხია.

ინგლის-საფრანგეთს შორის გვირაბი

ელისეს სასახლეში პუანკარეს თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოს სხდომა რომელზედაც განიხილეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიური საკითხი და გადასწყვიტეს დეპუტატთა პალატას წინადადება მიეცეს საფრანგეთში შემოზიდულ შაქარზე დროებით ბაჟის გაუქმების შესახებ. საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრმა მოხსენება წაიკითხა ინგლისსა და საფრანგეთის შორის გვირაბის გაყვანის აუცილებლობის შესახებ.

წერილები სოფლიდან

3

ოსები და სომხები

ეს ორი სიტყვა ბევრ მწარე ფიქრს აღუძრავს ყველა იმას ვისაც კი გორის მაზრაში უცხოვრია, ვინც ცოტათ თუ ბევრად გაუსცნობია სოფელს. იქ სადაც ან პირველს გაუვლია ან მეორეს საქართველოს რესპუბლიკის, ქართველი ერის შესახებ კეთილი სიტყვა არა თქმულა. მეტადრე ამ თავის არა მეგობრულ და მტრულ განწყობილებას სრულიად არ მალავენ ოსები რომელთაც განზრახული აქვთ ჩვენს რესპუბლიკაში თავის სახელმწიფოც დაარსონ და ასე აშკარად ექომაგებიან ჩრდილოეთის საზღვარზე მომდგარ რუსის დენიკინის ჯარს და შარშან ესევე თამამად ექომაგებოდნენ კავკავში დაბანაკებულ ბოლშევიკთა ბრბოებს... ეს მათი განზრახვანი და მოქმედებანი საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის იმდენად საშიში გახდა რომ ჩვენი მთავრობაც კი იძულებული იყო იქ ჯარი გაეგზავნა და იარაღის ძალით დაეცვა შელახული უფლებანი საქართველოს მოქალაქეთა მიერვე.

და აი ამ ორი კვირის წინად კი „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამოვიკითხე შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, რადგან სამხრეთ ოსეთში ყოველივე დაწყნარებულა და სხ. და სხ. ამიტომ უბრძანებ იქ მდგომ ჯარს

შოიხსნასო... ცოტა არ იყვეს არ მესიამოვნა ამ გვარი ბრძანება, არ მესიამოვნა იმისთვის კი არა რომ „ოსეთში“ სიმშვიდე დამკვიდრებულა და ჯარი მოხსნილა? არამედ იმ სთვის რომ ეს „სიმშვიდე“ ჩვენ მთავრობას მალე დაუჯერებია და დაურწმუნებია იქ ჯარი საჭირო არ არისო. მაგრამ განა ასევე არ იყო შარშან ცხინვალის ტრაღედიის წინ?

წავიკითხე ეს განკარგულება და ვთქვი მთავრობა ჩვენი ძალიან აჩქარებულა, ძალიან გულუბრყვილო ყოფილა თუ ასე მალე დაჯერებულა „სამხრეთ ოსეთის სიმშვიდეში და იქიდან ჯარი გამოუყვანია მეთქი.

სხვა რომ არა იყვეს რა სანამ რუსის დენიკინის ჯართან ჩვენ მტრული მანწყობილება გვაქვს ცხინვალ ჯავის ხეობიდან ჯარის გამოყვანა ყოვლად წარმოუდგენელია ვინაიდან ამ ხეობაზე გაშენდა ამ ორი წლის განმავლობაში მეორე დარიალი... ცნობილია, რომ ოსებმა გზა გაიყვანეს კავკავამდე, რომელიც როკის მთაგრეხილს სჭრის და რომელ გზითაც ჯარსაც შეუძლიან ასეთი თუ ისეთი მოძრაობა და თუ ეს გზა თავისუფალი დარჩა და მას დარაჯათ არ ეყოლება ქართველთა ლაშქარი სულ ადვილი შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს ჩრდილოელი მტერი ქართლის ფართე ველებზე გაჩნდეს და თავისუფალი ნავარდი იწყოს.

ამ გადმოჯგუფების მოტრფიალენი, არავისთვის დამალული არ არის, თვით ოსები არიან და ყველა დარწმუნებულია და ჭეშმარიტებაც არის, რომ იგინი ყოველ მხრით მას დახმარებას გაუწევენ და ძალიან დიდ დახმარებასაც. პირადათ მე დარწმუნებული ვარ ამაში ვინაიდან მქონდა შემთხვევა გავცნობოდი ამ სამხრეთის მოქალაქეთა გულის წადილს და ჩემთვის გამოირკვა, რომ იმ დროს როდესაც საქართველოს მთავრობის წევრი ბრძანებას სწერდა ჯარის გამოყვანის შესახებ, ჯავის ხეობის ოსები და საზოგადოთ სამხრეთისანი დენიკინთან დელეგაციას გზავნიდნენ და სთხოვდნენ პურს და სურსათს, სამაგიეროდ რას ჰპირდებოდნენ ჩემმა მოსაუბრე გულუბრყვილო ოსმა არ მითხრა, არც შევკითხებულვარ...

მათ მოქმედების შესახებ მრავალი დაწერილა, მრავალი თქმულა, არც ერთ ქართველისთვისაც არ არის მათი ზრახვანი დაფარული, ეს საკითხი საკმარისად გარკვეულია და თვალი, რომ გადაავლოს კაცმა ზოგიერთ გაზეთს ხშირად შეხვდება, რომ ოსეთის ამ მხარეს მთავრობა იქმნა აღმოჩენილიო თუ სხვა რამ... და აქ კი დავძენდი რომ ოსობა ვერ შეჰრიგებია დემოკრატიზმს, ოსობას ვერ მოუნელებია ის რომ საქართველოში მათრახი მას არ უჭირავს და იგი ყოველთვის მტერი იქნება იმ რესპუბლიკის...

მაშასადამე ჩვენმა მთავრობამ ამ ხეობაში ჯარი უნდა გააძლიეროს სანამ ასეთი არეული დროა და არ მოჰხსნას თუ კი ჩრდილოსკენ. თფილისკენ არის საბაჟოები და უბაჟო საქონლის შემოტან გატანის უფლება არვის აქვს აქეთ რაღა არის? განა ცოტა საქონელი შემოაქვთ და გააქვთ კავკავიდან და კავკავისკენ?

მთავრობამ რაც შეიძლება მალე უნდა გამოჰგზავნოს ჯარის ნაწილი გასულ ჯარის ნაცვლად, რათა დაიცვან „ახალი დარიალი“ და უნდა ითქვას ეხლავე რომ ჯარი ისეთი რომელიც საქართველოს მთავრობას სახელს კი არ გაუტეხავს არამედ მის პრესტიჟს ასწევს. საზოგადოთ ამგვარ როლის ასრულებელი ჯარები უნდა განირჩეოდნენ მეტს დისციპლინით, შემადგენლობით თუ სხვა რამით რათა მძარცველთა ბრბოთ არ გადაიქცეს... სამწუხაროდ ამას მაწერინებს ის ხმები, ის შემთხვევები, რომელსაც ადგილი ჰქონია ამ მხარეში და რომელსაც დიდი ზიანი მოუტანია როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ისე საზოგადოთ მთავრობისათვის...

მაშასადამე მოკლედ რომ ვსთქვა დაწყებული საქმე ბოლომდის უნდა იყვეს მიყვანილი.

სწრაფად და ფიცხლად ჯავის ხეობისაკენ თეთრი გიორგის ღირსეულ მხედრობა საქართველოს თავისუფლების დასაცველად და მის განსამტკიცებლად...

ეს ოსები. მაგრამ არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოს სახემწიფოებრიობისათვის ის სომხობა რომელიც შუაგულ საქართველოში ჩასახლებულა და ასე მოხერხებულად იყენებენ თავის მიზნების განსახორციელებლად ქართველ გრიგორიანებს. ამ გვარი „გამომყენებელნი არიან ეგრედ წოდებული ტერტერანი“ და გორის და ცხინვალის სომხობა, რომელთა ზურგი გამაგრებული აქვთ თფილისელ და ერევნელ სომხებისაგან.. მათ ქადაგებას და სწავლას ისეთი გასავალი აქვს, რომ ქართველ სომხეთა ომის დროს სოფლელი ქართველი გრიგორიანები ერევანში გაპარვას ლამობდნენ, მაგრამ მალე იქმნენ დაჭერილნი.. სამწუხარო ის არის, რომ ამ ქართველთა გრიგორიანების გასომხებას თვით ჩვენი მთავრობაც ხელს უწყობს. მე ვნახე გორის სამხედრო უფროსის მოწერილობა სოფლის კომისართან, სადაც ნათქვამია: „ჯარში გაწვეულნი არიან მხოლოდ ტომით ქართველებიო“... და როდესაც შევეკითხე კომისარს თქვენ ვის გულისხმობთ არა ქართველებათ მეთქი მან უპირველესად ყოვლისა ქართველ გრიგორიანებზე მიმითითა.

სომხურ ნაციონალურ საბჭოს არჩევნების წინა დღეებში სოფ. ტყვიაცში ცხინვალის ერობის თავმჯდომარის სახელით მოდის ტელეფონოგრამა: „შეჰკრიფეთ ყველა სომხები (?) ეროვნულ საბჭოში არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლადო“... რასაკვირველია სოფლის კომისარმა შეჰკრიფა ყველა ქართველი გრიგორიანი და სამუშაო დღის ახალ მოციქულს ელოდნენ... მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ ეს „რწმუნებული სომხურ ეროვნულ საბჭოში არჩევნების მომწყობ კომისიისა“ აღარ გამოცხადდა და მხოლოდ ტელეფონით შეჰატყობინებს ვინაიდან არჩევნები გადიდო ხალხი დაიშალოსო.

მართალია, ხალხი იძახდა ჯერ სომხური მასწავლონ მერე ვიქნები სომხებიო და ძლიერ ძალიანაც გაბრაზებული იყო მოციქულისათვის მაგრამ შემდეგში ტკბილის დაპირებით ადვილად მოსტყუვდება.

და ისე ხომ ჩუმად მუშაობა სწარმოებს და ეხლა აშკარად ჩვენი მთავრობაც თითქოს დასტურსა სცემს რომ ქართველი გრიგორიანები სომხები არიანო და ნაციონალურ საბჭოსაც არჩევნებს...

მათ ეს საბჭო აქვთ—ეს სრულიად საქართველოს მთავრობა და ეხლა ასეთი მოქმედება ნიშნავდა მათ ძალათ გასომხებას...

ბოლოს ვიტყოდი რომ ოსების და სომხების საკითხი მეტად ყურად საღები კითხვაა და საჭიროა მეტი სიფხიზლე მეტი დაკვირვება და მტკიცე პოლიტიკა თორემ შეიძლება პირველი სიგნალი საქართველოს მთავრობის წინა აღმდეგ ბრძოლისა ამ მხრიდან გაისმას, როგორც ეს იყო შარშან ცხინვალის ამბოხების დროს და სადაც ოსებთან ერთად სომხებიც იყვნენ.

ნ. კეცხოველი.

სანიტარია სოფლად

ამ ზაფხულს, თბილისიდან გასულს, სოფ. კავთისხევში (გორის მაზრაში) მომიხდა ერთი თვე გამეტარებინა და ამ ხნის განმავლობაში ამ სოფლის ყოფა-ცხოვრებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ მწარედ ჩამაფიქრიანა და სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. ეს ვეებერთელა სოფელი (700 კომლამდეა) სულ 50 ვერსით არის დაშორებული ჩვენ დიდ ქალაქზე და რკინის გზით სადგურ „კავთისხევამდე“ მხოლოდ ერთი საათი და 20 წუთია სამგზავრო და, მიუხედავად ასეთი სიახლოვისა თბილისზე, სოფ. კავთისხევი ყოველი მხრივ ჩამორჩენილია.

სანიტარიის მხრივ მდგომარეობა ამ სოფელში სამწუხაროა: ყოველგან, სახლში, თუ გარეთ ისეთი სიბინძურეა მოფენილი, რომ მნახველი უნებლიედ იკითხავს: სადაა ის უხილავი ძალა, რომელიც მცხოვრებლებს იფარავს სრულიად მოსპობისაგან“. შავ სახადს წარსულ ზამთარში მაინც თავისი გაუტანია: მცხოვრებთა რაოდენობა გაუმესამედებია და ზოგიერთთა ოჯახისთვის, როგორც გადმომცეს, სახლის კარები სამუდამოდ გადაურაზნია.

მეტია აქ ლაპარაკი იმ შეუგნებლობაზე, რომელიც ჩვენ ხალხში კიდევ დიდ ხანს გასტანს; ხოლო, ვიდრე ის სანეტარო დრო დადგებოდეს, როცა ხალხს თვით შეეძლება, სხვის დაუხმარებლად, თავის-თავის ჭირშიაც და ლხინშიაც მოუაროს, საჭიროა განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინოთ სოფელს, რომ ქართველ ერს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ.

თუ შავი სახადი შემოდგომას შეჰყვა, ზამთარში უსათუოდ გაცხოველდება და იმ პირობების წყალობით, რომელშიც ეხლა სოფლად ხალხი იმყოფება, ბევრს ოჯახს ამოექოლება სახლის კარი. გაშმაგებული საომარი ბრძოლაც კი ვერ მიაყენებს ხალხს ისეთ ზარალს, როგორსაც ეს უხილავი მტერი.

როგორც გადმომცეს, მაზრის დანარჩენ სოფლებშიაც ასეთივე უმწეო მდგომარეობაა ამ მხრივ.

სოფ. კავთისხევში არა სჩანს ზრუნვა სანიტარიის მხრივ. ამ სოფელს თავის დღეში არა ჰყოლია ექიმი და მცხოვრებთა ჯანმრთელობის საქმე აქნობამდე არა ექიმთა ხელშია.

ამ ოთხი წლის წინად ერთმა უცხო სომეხმა სოფელს დაუმადლა, გახსნა კერძო აფთიაქი; წამალსაც ის ჰყიდის, ექიმობასაც ის ეწევა. სწორედ ცის მანანად მოევლინა ეს მადლიანი მოქალაქე სოფელს!..

დროა სამაზრო ერობამ იზრუნოს რაიმე სოფ. კავთისხევის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე.

ქართველი ერი სოფლად ბინადრობს, არშინი და სასწორი მას არ ეხერხება, რომ ქალაქს მიაწყდეს და თუ ვისმეს შესტკივა მისთვის გული, მთელი თავისი გულისყური სოფელს უნდა მიაქციოს.

საკმარისი როდია, რომ მხოლოდ თბილისში, რომელსაც საცხოვრებლად ქართველი მდაბიო ხალხი არ ეტანება, სანიტარიის საქმე ჯეროვნად იყოს დაყენებული. ეს თავის მოტყუილება იქნებოდა და შეუნდობელი ცოდვაც იმ ერის წინაშე, რომლის ჯანმრთელობის საქმე ეხლა მთავრობის და ქართველ ექიმთა შემადგენლობის ხელშია.

იმ დროს, როდესაც ქალაქ თბილისში გადამდებ სენიანებისთვის განსაკუთრებული საავადმყოფოებია მოწყობილი, შესაფერი მოვლა-პატრონობით, სოფელი სრულიად მივიწყებულია და ათასგვარი სენი მცხოვრებლებს მუსრს ადენს.

გადმომცეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ოჯახში ერთს და იმავე დროს მთელი ოჯახის წევრნი იყვნენ ავად შავი სახადით და წყლის მიმწოდებელიც კი არ ჰყავდათ ავადმყოფებს სახლში.

თუ კი ქალაქშია საჭირო სენთან საბრძოლველი ზომების მიღება, განა ათასჯერ მეტს საჭიროებას არ მოითხოვს ასეთივე ზომების მიღება სოფლად, სადაც ხალხი შედარებით უფრო შეუგნებელია და ისეთ პირობებში სცხოვრობს, რომ სენის გავრცელებას უნებლიედ ხელს უწყობს.

რატომ არ შეიძლებოდა თუნდა შავი სახადიანნიც, სოფლადაც ცალკე მოეთავსებინათ და შესაფერი მოვლა-პატრონობა აღმოეჩინათ, რომ ეს ამოდენა ხალხი უპატრონოდ არ მიეტოვებინათ, რომ თავისივე შეუგნებლობით და ცუდი ზნე-ჩვეულობების წყალობით, როგორც მაგალითად ქელების გამართვა შავი სახადისაგან გარდაცვალებულის ბინაზე, სენი უფრო და უფრო არ გაევრცელებინათ ერთმანეთში. მარტო ეს უბრალო და ძლიერ მარჯვე ზომა მეტის მეტად შეამცირებდა შავი სახადის გავრცელებას და, გვგონია, ბოლოსაც მოუღებდა თუ სიხიდისიერათ იქმნებოდა შესრულებული. საყურადღებოა აგრეთვე, რომ ეს მთელი ორი წელიწადი სოფელი ვერ გადურჩა იმ ნახობარს, რომელსაც ქალაქი ულეველად აწვდის და აწვდის, ზოგჯერ მთელი ფოშობით. ქალაქს პური უჭირს, სოფელს კი ტანთსაცმელი. აი ის საბედისწერო კვანძი, რომელიც უქადის მცხოვრებთა განადგურებას.

თბილისიდან ეზიდებიან ძველ ტანთსაცმელს ხორბალზე გადასაცვლელად; ეზიდება ყველა: მსწავლული და უსწავლელი, ქალი და კაცი, უფრო კი სპეკულიანტები ორივე სქესისა. ხოლო, რადგანაც ქალაქი შიმშილს ვერ აიტანს, სოფელი კი სიტიტვლეს, ეს გაცვლა - გამოცვლა ასე მაინც უნდა ხდებოდეს, რომ ქალაქიდამ სოფლად შემოტანილი ნახმარი უვნებელი იყოს მცხოვრებთათვის სენის გავრცელების მხრივ.

საჭიროა ამ მხრივაც შესაფერი ზომების მიღება.

ძველი ტანისამოსი დეზინფექციაში უნდა იყოს გატარებული და თვითეულ ნაჭერს ერთგვარი ნიშანი ჰქონდეს დასმული იმის დასამტკიცებლად, რომ დეზინფექცია აქვს მოხდენილი.

უამისოდ, თვალყური უნდა ედევნოს, რომ ძველი ტანისამოსი სოფლად არავინ გაყიდოს და გადაცვალ-გადმოცვალოს.

ერობის საქმიანობას ველით, მაგრამ ვაი თუ ჩვენზე ასრულდეს ანდაზა: „მანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძრესო“.

ზაფხული გადის, შემოდგომა კარს გვიკაკუნებს; ხალხის უჩინარი მტერი დროებით განელებულა, მაგრამ ჯერ კი სულ არ გამქრალა.

ამ ჟამად სოფლად ხალხი კიდევ ავადმყოფობს შავი სახადით.

საჭიროა მომავალ ზამთრისათვის ეხლა მაინც ვიფიქროთ სოფელზე, რომ არ განმეორდეს წარსული ზამთრის მიუტევებელი შეცოდებანი.

სპეკულიაცია ოპერეტკით

ყველამ კარგათ იცის, რომ ამ ბოლო ხანებში ოპერეტკებით სპეკულიაცია არის გაჩაღებული. განსაკუთრებით ორი მეტად უშინაარსო ოპერეტკებით „არშინ მალ-ალან“ და „აშულ ყარიბით“. აი ამ ოპერეტკებით ევლინება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს მთელი დასი ჩვენი დამსახურებული მსახიობების მეთაურობით. ხან აბაშიძის, ხან ჩაგუნავასი, ხან ჯავახიშვილის და კიდევ სხვა რომელიმესი. ჩვენის რწმენით, მათ არ აინტერესებთ ამ შემთხვევაში, რომ ხელოვნების შუქი შეიტანონ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მათ ფული აინტერესებთ და ამ მიზნით დაბა ქალაქებში მოგზაურობენ.

მკათათვის 31-ს ქ. ახალ სენაკს ეწვია ჯავახიშვილის მეთაურობით დასი რომელმაც დადგა ოპერეტკა „არშინ მალ ალან“. მიუხედავად იმისა, რომ ოპერეტკა გვიან დაიწყო, ხალხი მაინც ნაკლებად დაესწრო. ორი მოქმედების შემდეგ სენაკის შეგნებულმა ინტელიგენციამ ლვამიჩავას პირით პროტესტი გამოუცხადა პატივცემულ მსახიობებს.

მან აღნიშნა უარყოფითი მხრეები ოპერეტკისა და დასძინა, რომ ქუთაისის ხელოვანთა ჯგუფის კრებამ დავ. კლდიაშვილის თავმჯდომარეობით აკრძალა ამ ოპერეტკების დადგმა.

ლვამიჩავამ მოუწოდა საზოგადოებას ახალგაზრდებთან ერთად დარბაზის დატოვებისაკენ. ლვამიჩავას წინააღმდეგ დასის ერთ-ერთი წევრი ფრანგიშვილი გამოვიდა, მაგრამ საზოგადოება პროტესტით შეხვდა და სიტყვა შეაწყვეტინა. ამის შემდეგ საზოგადოების უმრავლესობამ დარბაზი დასტოვა.

სენაკის საზოგადოების მოქცევა „არშინ მალ ალანის“ მიმართ მისაბაძი უნდა იყოს სხვებისათვის და სამუდამოთ აიკრძალოს ამნაირი ოპერეტკები.

ა. შ—ა.

კორესპონდენცია

თერჯოლის საზოგადოება

(შორაპნის მაზრა)

თერჯოლის უმაღ. პირ. დაწყ. სასწავლებელი. ხალხში ხმები დადის, ვითომც ამ სასწავლებლს ხაზინა თავის თავზე არ იღებდეს, რაც გამოიწვევს სასწავლებლის დახურვას. ეს გარემოება სასოწარკვეთილებაში აგდებს თერჯოლის საზოგადოების მცხოვრებთ. თერჯ. უმ. პირ, დაწყ. სასწავლებელი თერჯოლის საზოგადოებისათვის წარმოადგენს დაუფასებელ განძს. და მისი არსებობა აუცილებლად საჭიროა ხალხისთვის. ბევრს გულუბრიყვო ადამიანს გონია, რომ ჩხარის 4 კლ. სასწავლებელს მეტი ნაყოფის მოტანა შეუძლია ხალხისათვის ვიდრე თერჯოლის. ამბობენ მასთან, რომ ჩხარის სასწავლებელი უფრო კარგს ადგილს მდებარეობს და უფრო ემხრობა ხალხი და სოფლები თერჯოლისაზე. უდავოა, რაც მეტი სასწავლებლები იქნება საქართველოს რესპუბლიკაზე, კერძოდ თერჯოლის საზოგადოებაში, სასიამოვნოა. მაგრამ, რომ დაისვას საკითხი ასე: რომელს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია შორაპნის მაზრაში, თერჯოლის თუ ჩხარის სასწავლებელს, ხალხისითვის, აი ამ კითხვაზე გადაჭრით შემიძლია ვსთქვა: უფრო მეტი ემხრობა სოფელი თერჯოლის სკოლას, ვიდრე ჩხარისას. (ეს მაგალითი მიტომ მომყავს, რომ მხედველობაში უფრო აქვთ ჩხარის სკოლა და ფიქრობენ მის სახაზინოდ ჩარიცხვას) ჩხარის სასწავლებელი სადღაც მთის ძირშია, მას ეახლოვება ორიოდე სოფელი, ისიც მუხურიდან, მთებიდან, ნაკლებად შეიყვანენ შვილებს ამ სკოლაში. თერჯოლის საზოგადოებას კი ეახლოვება შემდეგი სოფლები: სიქთარუა, თერჯოლა, ღვანკითი, რუფოთი, ტელეფა, მწუხარელა არგვეთა და სხვა... ამ სოფლებში (გარდა მწუხარელისა) ყველგან მოიპოვება დაბალი სკოლები, ს. თერჯოლაში კი სამი დაბალი სკოლაა მაშასადამე თერჯოლის 4 კლ. სასწავლებელს ყოველ-წლიურად ეყოლება საკმარისი მისაღები მოწაფეები. და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სასწავლებელს თერჯოლის საზოგადოებისათვის. ბევრი მამა თავის შვილს ქალაქში არ წაიყვანდა, ან შეძლება არ შეუწყობდა ხელს, ან შვილის მოშორებას მოერიდებოდა და დასტოვებდა ყრუთ. აქ კი თავის ცივ კოკორზე ზდის შვილს, შვილიც სწავლობს და თავისუფალ დროს მშობლებს ეხმარება შინ. უმთავრესად კი არ ირყვნება, როგორც ქალაქებში. ამ სასწავლებლის გახსნას გლეხები დიდი სიხარულით შეხვდნენ. მისი შენახვა თავს იდვეს 1919 წ. იანვრამდე. მერე კი სახაზინოდ უნდა ჩარიცხულიყო. დღეს ხალხში ხმები დადის, რომ ამ სასწავლებლის მასწავლებლები მასწავლებლობას თავს ანებებენ და სხვა სამსახურში მიდიანო. ჯერ ეს მართალი არ იქნება და მართალიც, რომ იყოს არ ესაყვედურებათ. ამ სასწავლებლის, როგორც გამგე ისე მასწავლებლები ჩინებულნი ჰყავს. იგინი პირნათლათ ასრულებდნენ მოვალეობას, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებებისა. თიბათვეში ამ სასწავლებლის შესახებ თერჯოლის საზოგადოების მოქალაქეთა შესდგა, კრება რომელზედაც დელეგატებად ამოირჩიეს ხუთი კაცი მთავრობასთან საშუამდგომლოთ. ხალხმა დაავალა მათ, რომ ეთხოვოს მთავრობას ყოველი მიზეზის გარეშე მიიღოს ეს სასწავლებელი და ჩარიცხოს სახაზინოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გადასახადს არ გადვიხდითო, ამ საკითხს გადაჭრის დროს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც ერობამ ისე სამინისტრომ, რომ ხალხს გული არ გაუტეხონ.

გ. გუთნურისპირელი.

გაზ. „ერთობის“ თელაველ კორესპონდენტს

„ერთობის“ № 170-ში თელავის კორესპონდენტი—ვინმე სოსო უწუნებს ნაციონალ-დემოკრატებს პატრიოტობას და რეაქციონერებად ნათლავს, მხოლოდ მისთვის, რომ თურმე 19 და 20 მკათათვეს—ფრონტის დღეებში—არც ერთი ნაციონალ-დემოკრატი არ დაესწრო სადღესასწაულო წარმოდგენას და სეირნობას. და როცა ჩვენ, ბრძანებს ბ. სოსო, ნაციონალ-დემოკრატებს რეაქციონერებს ვეძახით, ისინი ბრაზობენ, ცოფს ჰყრიან და ქვეყანას ეფიცებიან: ჩვენზე კარგი დემოკრატი და სამშობლოს მოყვარული არავინ არისო.

უნდა მოვახსენო თელაველ სოსოს, რომ ნაციონალ-დემოკრატები თავის პატრიოტობას ან დემოკრატობას სეირნობა-წარმოდგენებზედ მისვლით არ ამტკიცებენ;

მგონი არც სხვა პარტიები დადიან ამ გზით და ამიტომ ეს ახალი ბრძნული აღმოჩენა პოლიტიკურ სფეროში კონკურენციის გარეშე ბ. სოსოს მონოპოლიად უნდა ჩაითვალოს.

ფრონტის დღე, ეს მთელი საქართველოს დღესასწაული იყო, რაც ქართულმა პრესამ განურჩევლად მიმართულებისა ერთსულოვნად აღნიშნა. თვითეული ქართველი კი განიცდიდა ამ ზეიმს საჯაროდ თუ კერძოდ, ეს მისი პირადი საქმე იყო და არა პოლიტიკურ პარტიებისა, ამიტომ ამ საერთო დღესასწაულში პარტიულად ჩარევა მავნებლადაც მიგვაჩნია. ეს გაუგებარი იქნება იმისთვის, ვისაც თავის პარტიულ ცხვირის იქით არაფერი მიაჩნია. თუ რამდენი ნაციონალ-დემოკრატი დაესწრო სეირნობა-წარმოდგენას, ეს აბირებული და უცნაური სტატისტიკის გამორკვევა უსაქმო და ფუქსავატ სოსოებისთვის მიგვინდია, ჩვენში კი ამგვარი საცოდავი ფუფუნი პროვინციელ პარტიულ მოღვაწეებისა სიბრალულის მეტს არაფერს იწვევს.

ამის გარდა, დასძენს ბ. სოსო, პატარა სიყალბე ჩაიდინეს—დაგვპირდნენ ყულაბებს ჩვენ ვატარებთო, ჩვენც ველოდით მათ პარტიულ „ბარიშნებს“ და „კავალერებს“, მაგრამ ლოდინში დააღამეს დღე და ყულაბებით ფულის შოკრეფა მათი წყალობით ვერ მოხდაო.

აბა რაში მოეწონება ბ. სოსოს მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთაც მისი ამქრის ჟარგონზედ მხოლოდ „ბარიშნები“ და „კავალრები“ ეწოდებათ. ნამდვილად კი ესენი არიან საქართველოს მომავალი ტვინი და გონება, რაზედაც დღევანდელ სოსოებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სამწუხაროდ.

მოკლედ, ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები მზად იყვნენ საქმეში თავისი წვლილი შეეტანათ მაგრამ მათი რა ბრალია თუ უხეირო ინიციატორებმა უხეიროდ წაიყვანეს საქმე.

გ. ციცქიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

მომეცით ნება თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი წვლილი ტაბანიერის სახალხო სახლის ასაშენებლად. ფული ვაგზავნა ტაბანიერის დრამატიული წრის თავმჯდომარეს ბ. სიმონ სულაბერიძეს კერძო პირის ხელით.

შემოსწირეს: 1. ჯოგლიძე გიგო 100 მან., 2. დეკ. კორნ. კეკელიძე 50 მან.. 3. სამხედრო გამომძიებელმა ანდ. კეკელიძემ 50 მან., 4. ავალიანი ასლან 30 მან., 5. ფაჩულია კალისტრატე 21 მან., 6. ხარკის ამკრეფ ინსპექტორი გიორგი გიორგაძე 30 მან., 7. ილია გიორგაძე 20 მან., 8. კეკელიძისა დაფინე გერმანეს ასული 30 მან., 9. მთავარ საბაჟოს მდივანი ს. კეკელიძე 30 მან. სულ 361 მან.

პატივისცემით ხევ. კეკელიძე.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს.	5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს.	32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს.	50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს.	27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს.	5 წ.
№ 7	დილის	11 ს.	52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს.	40 წ.
№ 61	დილის	7 ს.	52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს.	26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს.	30 წ.
№ 62	დილ.	11 ს.	24 წ.
№ 64	საღ.	8 ს.	4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. კ. ცქეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვის და გულისა. იღებს ახალ რენტგენის - ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენთიდი და [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

საჭკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible] დავით [illegible]
[illegible]
[illegible] კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ი და 606-ი შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.